



საკლბითიკო სამეცნიერო და სალიტერატურო ნახაზებიანი გაზეთი გამოდის ყოველ კვირა დღეს

№ 22

მ ა ი ს ი 28 1900

№ 22

გაზეთის ფასი: ერთი წლით გაუგზავ. 7 მან., გაგზავნით 8 მან. ნახევარი წლით გაუგზ. 3 მან. 50 კაპ., გაგზ. 4 მან. სამი თვით გაუგზ. 2 მან., გაგზ. 2 მან. 50 კაპ., თითო ნომერი სამ შაურათ.

სკლის-მოწერა მაილება: თფლისში „წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში“ (Дворцовая, д. зем. баня № 101) და თვით „კვალის“ რედაქციაში არტილერის ქუჩა, № 5. ფოსტის აღრესი: Тифлисъ. Редакция „Квали“.

შინაარსი: ინგლის-ტრანსვაალის ომი ნ. ჟორდანისი.—სხვა-და-სხვა ამბავი.—„კვალი“-ს კორესპონდენციები.—საზღვარ-გარეთ.—ამონაკენესი, ლექსი კ. გოგოლაძისა.—მსოფლიო გამოფენა პარიეში (გაგრძელება) ლ. დ—სა.—ჯავახეთი და ჯავახელნი (შემდეგი) ი. გომართელისა.—ფანტაზია, პაწია სურათი ნ—სი.—„კვალის“ ფოსტა.

„კვალი“ № V, გამოვიდა და დაურიგდა ვეკას ხელის მომწერლებს.



ინგლის-ტრანსვაალის ომი.

ინგლის-ტრანსვაალის ომი თავდება ისე, როგორც მოსალოდნელი იყო. ინგლისის მხედრობამ უკვე დაიჭირა პრეტორია და მით საცა ტრანსვაალიც ინგლისის სამფლობელოთ გამოცხადდება. თავიდანვე ცხადი უნდა ყოფილიყო, რომ პატარა რესპუბლიკა ვერ გაუძლებდა დიდ სახელმწიფოს და ამიტომ რესპუბლიკის მთავრობას ყოველივე ღონე უნდა მიეღო ომის თავიდან ასაცილებლათ. ნამდვილათ კი ეს ასე არ მოხდა. ბურებმა ისეთი რიხიანი ულტიმატუმით მიმართეს ინგლისს, რომ კაცს ვგონებოდა ტოლი ტოლს უსწორდებოა. ასეთივე რიხით შემოვიდნენ ნატალში და თითქმის

მთელ პროვინციას დაებატონენ. რის იმედი ჰქონდათ ბურებს ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, მათ მეთაურს, პრეზიდენტ კრიუგერს? კრიუგერი ომისთვის კაი ხნიდან ემზადებოდა, ჩუმ-ჩუმათ იძენდა ყოველივე საომარ მასალებს, აგებდა ციხე-სიმაგრეებს, იწვევდა უცხო ოფიცრებს ჯარის გასაწრთვნელათ და სხ. ერთი სიტყვით, ტრანსვაალს წინაწინვე უფიქრნია, ომი მოგვიხდება და მზათ უნდა ვიყოთო. მეორე მხრით, ინგლისს არც ერთი ეს მზადება არ ცოდნია, მას საზღვრებიც კი არ გაუმაგრებია, ახალშენთა ჯარისთვის ერთი კაციც არ მიუმატებია. აშკარაა, ის ომის გამოცხადებამდის ომისთვის არ მომზადებულა. მაშასადამე, ინგლისისთვის ეს ერთი მოულოდნელი შემთხვევა ყოფილა და არა წინეთ განზრახული. ამიტომ იყო, რომ პირველ ხანებში ინგლისის მხედრობა ასე მარცხდებოდა და მის მოუზადებლობას ნათელ ჰყოფდა. ამიტომ იყო ისიც, რომ თითქმის მთელი ინგლისის ჟურნალ-გაზეთობა დრტვინავდა, მთავრობამ ომი დაიწყო მოუზადებლათო.


ასე თუ ისე, მომზადებული ბურები, რი-

ცხვით ძრიელ ცოტა, და მოუმზადებელი ინგლისელები, რიცხვით ძრიელ ბევრი, ერთმანეთს დაეტაკენ და რაღა გასაკვირველია პირველთ გაემარჯვათ. ეს კარგათ ცოდნით ბურებს და სწორეთ ამ გარემოებამ შეიყვანა ისინი შეცდომაში. მეორე მხრით, ინგლისს იმდენი მოწინააღმდეგე ჰყავს როგორც აფრიკაში ისე ევროპა-აზიაში, რომ საფიქრელი იყო ბურებს რომელიმე მათგანი გამოესარჩლებოდა და თუ ხმლით ხელში არა, სიტყვით მაინც დაეხმარებოდა. ჯემსონის შესევის დროს გერმანიის იმპერატორმა ტელეგრამით მიულოცა კრიუგერს შემოსეულთა დამარცხება და რესპუბლიკის განსაცდელისაგან დახსნა. მაგრამ ბურები მოტყუვდნენ ანგარიშში. ეს რვა თვეა ომი წარმოებს და დღემდის ვერც ერთმა სახელმწიფომ ხმა ვერ აღამალა ინგლისის წინააღმდეგ. ჩვენ არ ვიცით ამ საუკუნეში არც ერთი ისეთი ომი, რომლის დროს სუსტ მხარეს ინგლისი არ გამოქომაგებოდეს, ხოლო დღეს კი, როცა თვითონ ინგლისია ომში ჩაბმული, და მაშასადამე გამოქომაგება აღარ შეუძლია, სხვა აღარავინ ჩანს ამ წმიდა და კაცთმოყვარული როლის შესასრულებლათ. დიახ, ინგლისელობა ასე აღვილი არ განლავს!..

ამ ნაირათ, ბურები შეაცდინა და ააჩქარა ინგლისის მოუმზადებლობამ და სხვების იმედმა. ეს კიდევ ცოტაა, იმათ თვით ინგლისზე ყალბი წარმოდგენა ჰქონებიათ. როგორც „კვალის“ მკითხველებმა იციან, ინგლისსა და ბურებს შორის არა ერთხელ ჩამოვარდნილა განხეთქილება, მაგრამ თითქმის ყოველთვის ინგლისი უთმობდა. 1881 წლის ომი ბურების წინააღმდეგ თვით ინგლისმა შეაჩერა და ბურები დააკმაყოფილა. ერთი სიტყვით, ინგლისში თუ, ერთი მხრით, ბურების წინააღმდეგი ლტოლვილება არსებობდა, სმაგიეროთ მეორე მხრით მათი სასარგებლო მიმდინარეობაც იყო და ეს უკანასკნელი ყოველთვის პირველს ძლევდა. და აი, ტრანსვაალში ის აზრი დამკვიდრდა, რომ ინგლისის პოლიტიკა ცვალებადია, როცა ერთი ჩვენი წინააღმდეგია, მეორე მომხრეა და ამიტომ შიში არ უნდა გვექონდესო. როცა ჯემსონის შესევა მთელმა ინგლისმა დაგმო, მაშინ კრიუგერს ეთქვა: ჩვენ უფრო უნდა გვეშინოდეს გერმანიის ვინემ ინგლისის; გერმანიის ხელმწიფე ერთს რომ უბრძანებს თავის ჯართ გადაიარეთ ეს და ეს საზღვარიო, უნდა გადავიდნენ, ენის შემბრუნებელი არავინ არის, ხოლო ინგლისის ჯარს როცა ერთი გადასვლას უბრძანებს, მეორე გადმოსვლას მიაყოლებს და ასე ყოველივე შიშინაობა ქრებაო. და ეს მართლაც ასე იყო წარსულში ბურების მიმართ. კრიუგერს კი ეგონა ახლაც ასე

იქნებოდა და აი აქაც მოტყუვდა. განხეთქილება ინგლის-ტრანსვაალს შორის ისე ღრმა და ხიზინადი აღმოჩნდა, რომ ბურების წინანდელი მომხრე ინგლისელები (ლიბერალები) იძულებული შეიქნენ გაჩუმებულიყვნენ ლე კონსერვატორებთან ერთათ ბურები გაენადგურებიათ. ყოველივე საქმის მეთაური იმის მეთაურია, რომ გარშემორტყმული ძალთა განწყობილება, მათი მიმდინარეობა და ცვალებადობა შეიგნოს, გაითვალისწინოს და თანახმათ ამისა იმოქმედოს. კრიუგერმა ასეთი შორს მხედველობა ვერ გამოიჩინა, მან, როგორც ძველმა კაცმა, ძველებურათ წარმოიდგინა ყოველგვე, პოლიტიკა, დიპლომატია, აზრთა მდგომარეობა, მაშინ როდესაც ყველა ეს კაი ხანია შეიცვალა და ახალ გზაზე შედგა!..

მან ვერ გაიგო არა იუ სახელმწიფოთა დღევანდელი დამოკიდებულება, ამას კიდევ ვინღა ჩივის, მას საზოგადოთ წარმოდგენილიც არ ჰქონებია თანამედროვე ერის ძალა და ვითარება. როცა ის ინგლისის გაზეთებში მოწოდებას ბეჭდავდა (1883 წ.) მოდით ტრანსვაალშიო, როცა მან მთა მადნების წარმოება ინგლისის კომპანიას მიანდო, როცა მან ყოველივე ვაჭრობა და მრეწველობა უცხოელთ გადასცა და ბურებს კი მარტო ფერმებზე მიერეკებოდა, განა მან ამით ძირი არ გამოუთხარა თავის ერს, თავის ქვეყანას? ამ მიმდინარეობამ შესაფერი ნაყოფი გამოიღო, ინგლისელები გამაგრდნენ ქალაქებში, მათ ხელში მოიქცა ტრანსვაალის უძრავ-მოძრავი ქონების უდიდესი ნაწილი, ფაქტიურათ ისინი დაეპატრონენ ქვეყანას და ამ დროს მამა კრიუგერი, ისევე ძველებურ ფანტაზიაში გართული, პასპორტების და პოლიციის ძალით მეცადინეობს უპირატესობის შერჩენას! მას ფეხქვეშიდან ნიადაგი გამოაცალეს და ის კი, იმის მაგიერ რომ ნიადაგი დაიბრუნოს, კიდევ უფრო მოშორებია მას და რაღაც ქალღმედებს ჩაფრენა, ამის ძალით ჩვენ უნდა ვუფროსობდეთო! ერთი მითხარით, ვინღა უყურებს ახლა ასეთ ძველ თამასუქებს? ვინ გაბატონებს შენს ქვეყანაში მხოლოთ იმის ძალით, რომ წინეთაც ვბატონობდიო? ისტორიული უფლება კაი ხანია თავის-თავათ არარას წარმოადგენს, თუ მას თან არ ახლავს უფლება თანამედროვე, ღონე რეალური, უფროსობა ფაქტიური. მამა კრიუგერს და მის პარტიას არც ერთი ეს არ ცოდნია და ამ თავის „რომანტიული“ მოღვაწეობით დამოუკიდებლობა დაჰკარგეს, მათ მაგიერ ქვეყანას დაეპატრონენ რეალური უფლების პატრონები. აი როგორია გზანი ისტორიისა!



მარა, ახსნა რომელიმე მოვლენის არ ნიშნავს მის გამართლებას—მეტყვი. სრული ქვეშაობა და ვისაც კი ოდნავ გულში უღვივის სიმართლის და კაცთმოყვარეობის გრძობა,—ის უეჭველია გაკიცხავს პატარა ერის (თუნდაც ის სხვის მიწაზე მდგომი ბურები იყოს) თავისუფლების მოსპობას, მისი დამოუკიდებლობის განადგურებას. აი ამიტომ იწვევს ბურების სვე-ბედი საერთო სიმპატიას, ხოლო ჩემბერლენის მოქმედება კი წყვეა-კრულვას რამდენათ კრიუგერმა და მისმა პარტიამ ვერ გამოაჩინა შორსმჭვრეტელობა, იმდენათ აჩქარდა ჩემბერლენი და მისი პარტია და ინგლისიც განსაცდელში გააბეს. ამ ომით ინგლისმა ძალიან ბევრი დაჰკარგა. მოწინავე კაცობრიობის თვალში მან გამოიწვია საერთო ანტიპატია და ამის ერთათ ერთ მიზეზათ ჩემბერლენი უნდა დაისახოს. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ტრანსვალში ისე მაგრათ მოიდგეს ფეხი ინგლისელებმა, რომ უომროთ, უსისხლოთ მართვა-გამგეობაშიაც ფეხს მოიდგამდენ და ასე ნელ-ნელა ქვეყანას ხელში ჩაიგდებდენ. კრიუგერი თანხმა იყო შემოვლო ისეთი რეფორმები, რომ ინგლისელთ ხმა მისცემოდა პარლამენტში და სხვა დაწესებულებებში. ამ პირველ ნაბიჯს მეორე მოჰყვებოდა, მეორეს მესამე, სანამ ინგლისელები და ბურები უფლებით ერთმანეთს არ გაუთანასწორდებოდნენ, ხოლო მათ შორის უფლებით თანასწორობა ნიშნავდა ინგლისელების სრულ ბატონობას, ვინაიდან ისინი ქონებით უკვე გაბატონებული არიან. მაგრამ ასე ნელ-ნელა სიარული ინგლისის მთავრობამ, წინააღმდეგ თავისი ჩვეულებისა, უარჰყო და ყველაფერი ერთათ მოინდომა. და აი ამ ერთათ, ერთი დაკვრით გაბატონების სურვილმა გაიტაცა ჩემბერლენი. მასასადამე, თვით ინგლისური შეხედულობითაც ჩემბერლენი პასუხის გებაშია მისაცემი. და მართლაც ომის წინააღმდეგი იყო და არის ძალიან ბევრი ინგლისელი. ლიბერალებიც წინააღმდეგი იყვენ ომის გამოცხადებამდის, მაგრამ როცა ომი დაიწყო და ბურებმა ინგლისის ახალშენი დაიჭირეს — მაშინ უკან დახვევა ძნელი შეიქნა და ლიბერალებიც ჩემბერლენს მიემხრენ. ერთი სიტყვით, ომი თუმცა ჩემბერლენმა გამოიწვია, მაგრამ მერე მთელი ხალხი შეიქნა იძულებული მისთვის მხარი მიეცა. ასეთია გარემოებათა ლოლიკა...

ატყდა ომი, ინგლისის ძალა და გავლენა ბეწვზე ეკიდა, პატარა ხალხმა კინალამ დაარწმუნა ქვეყანა, რომ დიდი ბრიტანიის უფროსობა ირღვევა. და აი ამას ქვეყანაც ტაშს უკრავდა, გან-

საკურთებით კი დიდი სახელმწიფოები. გამიჩნდა რომ ყველა ამათ სულით და გულით სძულთ თავისი მეტოქე ინგლისი და თუმცა თითოეული მათგანი მასთან შებმას ვერ ბედავს, მაგრამ თუ ვინმე სხვა დასცემს, იმათ სხარულს საზღვარი არ ექნება. ამ ფერხულმა ჩაითრია ქართველებიც და ჩვენი ჟურნალ-გაზეთობა შეუღდა ინგლისელების სიძულვილის ქადაგებას*). ჩვენ თავიდან არ ვიყავით ამ აზრის და არც ახლა ვართ... კანტის თქმულება, ოღონდ ქვეშაობებამ გაიმარჯვოს თუნდაც ამან ქვეყნის დანგრევა მოითხოვოს, შემცდარათ მიგვაჩნია, ვინაიდან ვის რათ უნდა ეს ქვეშაობება, თუკი ქვეყანა აღარ იქნება. თუკი ბურების გამარჯვება ინგლისის დაცემას ნიშნავს (და ეს ასე უნდა ყოფილიყო)—ნება მომეცით ამ გამარჯვების მომხრე არ ვიყო და ინგლისის დაუძლიურებას არ ვნატობდე...

ნ. ყორღანია.



სხვა-და-სხვა ამბები

მდეს, კვირას, და ხვალ, ორშაბათს, მუშტაიდის ბაღში იქნება გამართული სახალხო სეირნობა საქველ-მოქმედო ბაზრითურთ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სასარგებლოთ.

წერა-კითხვის საზოგადოების წევრთა წლიური კრება დანიშნულია დღესთვის, მაგრამ რადგანაც პირველი კრება არაოდეს არ შემდგარა, უეჭველია არც ეს შედგება და გადაიდება მომავალი კვირისათვის, როდესაც, რამდენი წევრიც უნდა დაესწოს, მაინც შედგება. საზოგადოების გასული წლის „ანგარიში“ ჯერაც არ გამოუსულა.

ქართულ დრამატ. საზოგ. გამგეობამ უკვე ითხოვა სადაც ჯერ არს ნება-რთვა სათეატრო ფურცლის გამოცემისა. ფურცელს ერქმევა „ქართული თეატრი“, გამოვა სეზონის განმავლობაში კვირაში ორჯერ ნახევარ-ნახევარი თაბახი. გაზეთში მოთავსდება ყოველივე ის, რაც ეხება თეატრს და სათეატრო ხელოვნებას.

როგორ გულმტკივნეულათ ეპყრობა თფილისის სათ.-აზნ. ბანკის გამგეობა თავად-აზნაურთ ნათლათ ჩანს შემდეგი ფაქტიდან: აგერ ერთი წე-

*) ერთი ამ ნაიბი წერილი „ჯეჯილის“ შემწეობით ბავშვებსაც კი მიაწოდეს.

გადაცემისას

ლიწადია რაც უღმობელმა სეტყვამ ერთიანათ განადგურა ქართლის ზოგიერთი სოფლები. ყველაფერი ჩაიღწეა და ხალხი დარჩა ცარიელზე. ბანკმა შარშანვე გაგზავნა თავისი კაცები ზარალის გამოსარკვევათ, რომ მერე დახმარება აღმოეჩინა ხელმოკლე თავად-აზნაურთათვის. და აი, გადის ერთი წელი და ამ დახმარებისა არა ისმის-რა! გაქირვებულთ დაეხმარეო - ამას უწოდებს თურმე გამგეობა! ახლა ქართლის ამ გაქირვებულთ შუამდგომლობა აღუძრავთ ბანკის გამგეობის წინაშე, თუ გვაძლევთ რასმე დროზე მოგვეცით, თუ არა და უარი გვითხარიო.

სამშაბათს, 30 მაისს, მასწავლებელ ქალთა საზოგ. კანტორაში მოხდება სახალხო კითხვათა კომისიის წევრთა კრება. კრებას წარედგინება განსახილველათ ქართულ, რუსულ და სომხურ სახალხო წარმოდგენათა სექციების ანგარიშები და შემდეგ აირჩევენ ახალ წევრთ სექციებისას.

ივანე სტეფანეს ძე მამაჯანოვის მიერ გამოცემილი პურის საღებო მანქანა, რომელიც მოწონებული იყო 1896 წ. ექსპერტებისაგან და გამოგონმა მიიღო ამ მანქანის კეთების და გაყიდვის პრივილეგია, ამ ჟამათ თურმე დგას და მუშაობს თ. თემიურაზ აგიაშვილის მამულში სოფ. ტყაჩირში, ქუთაისიდან 13 ვერსის მანძილზე. ეს მანქანა ღებავს და ანიაგებს ათი საათის განმავლობაში 400 ფუთ პურს და 800 ფუთ ბზეს. გამოგონანს ნდომებია ამ პრივილეგიის გაყიდვა და დღათ სასურველია რომ ჩვენი ქართველი რომელიმე ამხანაგობა ან და რომელიმე ფულის პატრონი შეიძენდეს ამ სასარგებლო მანქანას.

როგორც ვიცით, ბ. ნასირბეგოვი ეღებოდა თფილისის სათ.-აზნ. ბანკს 39 ათას მანეთს, რომელიც ბანკის დირექტორათ ნამყოფმა პალ. ყიფიანმა ბაქოში გაუფლანგა. ეს საქმე განიხილა ოლქის სასამართლომ და ბანკს დააკისრა 36,600 მ. გადახდა ნასირბეგოვის სასარგებლოთ, დანარჩენზე (2400 მ.) კი უარი უთხრა.

თფილისის სახალხო თეატრის შენობის ამშენებელ კომისიას გადაუწყვეტია ყორღანოვის მიერ შეწირულ მამულზე (ვერაზე) ააგოს შენობა, რაც გამოანგარიშებით დაჯდება 21 ათასი მ. (და არა 60 ათასი როგორც ეს „ცნობ. ფურც.“ იყო). მაგრამ რადგანაც ეს ფული ჯერ არ აქვთ, ამიტომ არსე-

ბული სახალხო თეატრის შენობის გადგენილას შეუდგებიან. როგორც გადმოგვცეს, ხარჯი ამ გადაკეთებისათვის (1200) უტვირთნია თ. გენ. ქობულოვს.

ფინანსთა მინისტრი აცხადებს, რომ სამრეწველო საქმის ერთის ხელიდან მეორის ხელში გადასვლა არავითარ ნებართვას არ მოითხოვს საგუბერნიო მთავრობის მხრივ, თუ კი ის თავდაპირველათ ჯეროვანი ნებართვით არის დაწყებული.

ამას წინეთ ჩვენ გაზეთში დაბეჭდილი იყო ბერლინის საზოგადოების განცხადება, შესახებ პარიზში მგზავრთა 130 მ. წაყვან-წამოყვანისა. როგორც ახლა დაწვრილებით გვაცნობეს, ამ ფულით მგზავრობას კისრულობენ მხოლოდ ბერლინიდან პარიჟამდე და უკან. ხოლო ბერლინიდან კი თავისი ხარჯით უნდა მიხვიდე. ბერლინიდან მაგ. ოდესიდან ღირს მეორე კლასით 31 მ. კავკავიდან 42 მ., ვარშაიდან 18 მ. მესამე კლასით ერთი მესამედით ნაკლები.

ბაქოდან გვწერენ: ამ დღეებში აქ მოხდა ქართული სამკითხველოს წევრთა კრება. კრებას დაესწრო 15 კაცი (წევრი კი სულ 200 ჰყავს). გადასაწყვეტი საგანი იყო, ბიბლიოთეკა გადაცეთ წ. კ. საზოგადოებას, ახალ რაიმე წრეს თუ ისევ ძველებს ჩავაბაროთ. დიდ ლაპარაკს შემდეგ 8 ხმით წინააღმდეგ 7-სა დაადგინეს ბიბლიოთეკა გადასცენ უპირობოთ იმ წრეს ქართველებისას, რომელიც აქ ქართულ საღამოებს მართავს. თუმცა გრძნობდენ, რომ ამათ ხელში ბიბლიოთეკის საქმე კიდევ უკან წავა (აქამდის არ უპატრონებიით და ახლა უპატრონებენ?), მაგრამ იძულებული გახდენ მათთვის გადაეცათ, რადგანაც ამათ განაცხადეს, რომ, თუ ჩვენ არ მოგვცემთ, საღამოს შემოსავლიდან ერთ კაპეიკსაც არ მოგვცემთ და არც იმ 250 მ. მოგახმართ, რომელიც წ. კ. საზოგადოებაშია შენახული ბიბლიოთეკის სასარგებლოთ. ასე საპარტიოთ გახადეს ბიბლიოთეკის საქმე!

„კეალის“ კორესპონდენციები

გემე ქართლი. აქურ ზოგიერთა შეპატონებს დაუუქნებათ თავისი ადგილ-მამულების მცველებათ ოსი, ჩანჩები, რომლებიც, შეიარაღებულნი თავიდან ფეხებამდის, დათარეშებენ და შიშის ზარსა ჰგვრან ბედი-საგან დაჩაგრულ გლეხ-კაცობას. ამათი მოქმედება მართ-

დაც რომ ცოტათი განსხვავდება ხამდვილი ყანადის მოქმედებისაგან. აქ, ვგონებ, საჭირო არ არის ჩამოთვალად მრავალი იმათი მხედური საქციელი; მე იმათ დასახსნათებლათ მოვიყვან მხოლოდ ორ-სამ მაგალითს.


წარსული წლის მიწურულეებში სოფელ ტუხერში მცხოვრები გლეხი ბაღდა ბერძნაშვილი თავისი მოჯამაგირეთი მოდიოდა სახლში მდ. მტკვრიდან, სადაც იმას ეხსრია თავის საკუთარ საწყლის ბიროზე გაკეთებული ოხნი და ერთ ფუთამდის თევზი დაქტირა. ჯერ ხახვარი გზა არ გამოეყო, რომ წინ დაუხვდა ვიდაცა შეიარაღებული კაცი, რომელმაც შორიდანვე დახმლა-გინებით უბრძანა, რომ, თუ იმას თავის სიკვდილი არ უნდოდა, იქავე დაეყარა რაც კი რამ მიჰქონდა სახლში. რადესაც გლეხ-კაცი შეკრთა, შეჩერდა და არ იტოლა, რა ექნა, ამ ვაჟბატონმა დაუწყო იმას ბერძანის სრულა. გლეხი შევარდა იქავე მდგომ საყარულში, ხოლო თევზი კი ამ სახლმოდის არსენას მიუტოვა. იმ ჟამთ საყარულში იყო თავმოყრილი რამდენიმე კაცი, რომლებიც ისე შეშინდნენ, რომ ვერაფერი შეელო ვერ აღმოუჩინეს ამ საწყალ გლეხსაც. და ან როგორ უნდა ეხლოთ ხელი ამ ცაცოფებულ კაცისთვის, რომელსაც, ზარბაზნის გარდა, ეფიქვარი იარაღი ზედ კიდა?! რადესაც გულგახეთქილი გლეხი დარწმუნდა, რომ ეხლა იმისი მტერი შორს იქნება წასუდი, და იმას შეუძლია თავისუფლათ ასვლა სახლში, გამოვიდა საყარულოდან და გასწია სახლისკენ გულ-ხელ დაკრეფილმა. მაგრამ გაიარა თუ არა რამდენიმე საყენი გზა, ხსენებულმა უცნობმა კაცმა, რომელიც კარგად იდგ მანძილზე იყო დაშორებული, ხელ-ახლათ დაუწყო იმას ბერძანის სრულა. რადესაც უცნაურმა ძალამ გადაარჩინა ეს საწყალი სიკვდილისაგან. ეს ჩვენი არსენა ამ ბირველ გამარჯვებულ შემდეგ წაბრძანებულა მდ. მტკვარზე, იქ უხანავს მებადური ტუხრული გლეხი ქიტო ჩიტაშვილი და წაურთმევი ბაღდა. ეს თავადებული ვაჟბატონი განლდათ თავადი აბაშიძის ყარული.

ამა წლის იანვრის ბირველ რიცხვში იმავე ბერძნაშვილს მოჰქონდა ხარებით ტუიდან შეშა. რადესაც მოუხლოვდა სოფელ ქვიშეთს, წინ გადაეღობა თავადი სუმბათოვის შეიარაღებული ყარული ოსი, რომელმაც უბრძანა ან სამატის და ცულის მიცემა ან შეშისა, რადგანაც, როგორც იგი ამტკიცებდა, ბერძნაშვილმა გამოატარა შეშა თავ. სუმბათოვის მიწასე და არა დაწესებულ გზასე. რადესაც ბერძნაშვილმა ამაზე მიუგო, რომ ის იძულებული იყო ასე გამოეყო, რადგანაც ამის შეტი გზა არსად ჩანდა, ოსმა დაიდო ხანჯალზე ხელი და შესძახა: გაგათავებ თუ არ აგისრულდება ჩემი ბრძანება. რა ექნა გლეხს, შეშა დაუტოვა და შინ ცაღიერ-ტარიელი წაირეკა დაუდღული ხარები.

ამ განაფხულზე ტუხრული გლეხი გარსევან ბერძნაშვილი ხნავდა კავით თავის მამა-პაპულ მიწას სოფელ ქვიშეთში. მიუცვივდნენ იმას თავ. ამილახვრის ყარული ოსები, რომლებმაც მრისხნეთ ჰკითხეს: „ბიჭო, ვინ მოგცა ნება, ამ მიწას რომ ხნავ?“ საწყალმა მხედელმა პასუხის მიცემაც ვეღარ მოასწრო. დაჰკრეს უცბათ თავში კეტი და გააგორეს მიწასე. ახსნეს კავს სამატ-ასვარავი და ძლევა მოსილები არჩინათ გაემგზავრენ თავ-თავის ბინასე. ასე უსამართლოთ გალახულს, თავ-გახეთქილს და სისხლში მოსვრილს, როგორც თითონ შემოგვივიდა, მიუძრთავს სწივრით ხსენებულ ოსებზე ადგილობრივ აღმინისტრაციისათვის, მაგრამ იმისთვის არავითარი ყურადღება არ მიუქცევიათ, მხოლოდ ქვიშეთის მამასახლისს იმდენი სიუხრადე კი გამოუჩინია, რომ წართქული ნივთები უკანვე დაუბრუნებია გლეხისათვის. 14 ახრის სოფელ ტუხერში დახეტიალობდნენ თავ. ამილახვრის ოსები, რომლებიც კარგათ შეზარხმებულნი იყვნენ...

ფუტკარი.

სოფ. აბაშა. სოფელი აბაშა მდებარეობს მდინარე აბაშის მარცხენა ნაპირზე, შვიდი ვერსტის მანძილზე აბაშის სადგურიდან. ამ სოფელში ითვლება 3008—4008 კომლი მოსახლე. სიდიდითა და ხალხის სიმრავლით ამ სოფელს უჭირავს მეოთხე ადგილი მაზრასში. ნიადაგი ამ სოფელში ძალიან ნოყიერია. ხალხი აქ ძალიან მუყათია-საზოგადო საქმეში კი, დიერთმა ნუ მოგვით აბაშელ გლეხთან საქმე. ისინი ყველა ერთმანეთის ჯიბრზე მიდიან, ერთმანეთის თანახმა არსოდეს არ არიან. აქ ყველა ცდილობს დღევანდელი დღე გაატაროს რამენაირათ და ხვალისთვის ჯავრი არა აქვს. იშოვნიან თუ არა ერთ ორ კანეკს, მაშინვე იქავე დუქანში მიდიან ან ღვინოში ხარჯავენ, ან არა და კარტში ატებენ. არ ფიქრობენ შვილებზე, რამე ვასწავლობთ. რომ ჰკითხნოთ: „შენ შვილს რამეს არ ასწავლია!“ ისინი იტყვიან: „თქვე დალოცვილა! ჩემთვის კაცს არაფერი არ უსწავლება, მაგრამ ზურს ქე ვჭამო!“ ამ სოფელში ოცდა ხუთი მოსახლე აზნაურშვილია, გამსახურდიები და თოფურიები. ბევრ გლეხს თავისი მიწა ვერ ჰყოფნის და აზნაურის მიწას მუშაობს სხანხევრით. აზნაურები ორ ზარტის შეადგენენ და გლეხებიც ორათ გაუფიდა. ერთი ნახევარი გლეხებისა, მცხოვრებნი აღმოსავლეთით, სიათაც თოფურიები მოსახლობენ, შეადგენენ თოფურიების ანუ აღმოსავლეთის ზარტის; მეორე ნახევარი გლეხებისა, დასავლეთით მცხოვრებნი, შეადგენენ გამსახურდიების ანუ დასავლეთის ზარტის, მათ შუა გადის ერთი დიდი გზა და ამ გზასე ორი-სამი დუქანია. აი ამ ზარტების სადათ გამხდარა ეკლესია. სკოლა და სხვა სასოფლო საქმეები. მაგალითისთვის აქ მოვიყვან სკოლის ამბავს.




სკოლა აქურ სსზოგადებებს კაი ხანია არ უნახავს, არც არავის ახსოვდა აქ სკოლა და არც განსხვავება უნდოდათ. მხოლოდ 1897 წელში აქაურმა ზრდილებმა ბ-ნმა კვბენი ქოიავამ განსხვავება სსზოგადებებს სკოლა. მერე, მერევე წელიწადს, დათა ჩიქოვანის ქვრივმა მოიყვანა თავის ნათესავი ნასწავლი ქალი და მან დაუწყო ბავშვებს სწავლებას. გავიდა ორი წელიწადი; ზოგიერთმა ამზარტავენებმა განიღეს თავალი: ერთი ნორმალური სსზოგადებელი რაზე არ გვაქვს ჩვენო. კვათახის სსზოგადებებისთვის რატომ უნდა ვიხადოთ ჩვენ ფულიო; იქ ჩვენი ბავშვები მინც არ დაიარებიან, მადი იქიდან აქ გადმოვიტანოთ სკოლაო. აი ამ საქმეს შეუდგა ბ-ნი ნიკოლოზი ქოიავა. მან იფიქრა ტუილა ვარ ნასწავლი, ერთი ჩემ სამშობლოსაც უნდა გამოვადგეო. ჯერ მოხვევა სოფელს და ფული მობოჭა: ქუთაისში წასასვლელათ მინდა, იქ კარის კანი უნდა ვიმოგონო გუბერნატორთანო. ბოლოს შეადგინა ზრტიოვანი და უველა გლეხებს მოაწერინა ხელი, მაგრამ რას მოაწერეს ხელი, არც ერთმა არ იცოდა. მან გლეხებს აღუთქვა: „აი ამ შემოდგომისთვის მზათ იქნება სკოლა, (ეს იყო 1898 წელში, ზაფხულში). ოდნე კი თქვენ ფულები მოშვებთ და იქ ამ სკოლას მოვსებო და აქ გადმოვიტანო. აღუკრძალა აქურ ბავშვებს კვათახის სკოლაში სიარული. მან იფიქრა: აქ დავიწყო სკოლის შენებას და იქ კი დავაგეტინებო. მაგრამ ტუილათ ჩვენი ნიკოლოზი იყო უფრო აღმოსავლეთის ზრტიოვანი, სკოლის აშენება დაიწყო იმათ ახლო, ტაცხვის ძირთან. ეს დასავლეთის ზრტიოვანი არ მოეწონა და უარი განაცხადა სკოლის შემწეობაზე, ბევრმა აღმოსავლეთის ზრტიოვანს უარი თქვა, რადგანაც კვათახის სკოლიდანაც გადასხადს მოთხოვდნენ, რომელსაც აქამდის იხდიდნენ; ისინი დაზარალებენ ჩვენ ორივეს კარდახდა არ შეგვიძლია და კიდევ სკოლა შუა სოფელში არ შენდება, ჩვენ ამასვე არსოდეს არ ვიყავით თანხმად, და ახლა ერთი ჩივილი და დავიდარება ატეხილი ჩვენ სოფელში. ერთ გლეხს არ ნახავთ თავის სსზოგადებში. უოველ დღე სსზომართლობაში არიან თავმოყრილი და იქ ერთმანეთს თავს ატეხენ. ერთი იქით მიიჭიდება და მერევე აქეთ.

მართლაც და, სკოლა თავის ადგილზე არა დგას, ნორმალურ სსზოგადებებს ერთი ზატარა ბაღი უნდა ჰქონდეს, რომელიც იქ არ მოხერხდება; მერევე სსზოგადებელი შუა სოფელში უნდა იყოს, ახლა კი კუთხეშია, სოფლის სსზოგადებებზე აღმოსავლეთით. აქ კი, სულაც დასავლეთის ზრტიოვანს უნდა, შუა სოფელიც არის, აქვე ეკლესია, აქვე მინდორიც არის, რომელსაც ზატარა მდინარე ჩაუდის, სულაც შეენიერი ბაღიც აშენდება. ამას უველას ტოვებენ და მადიან სულაც კუთხეში. რატომ? იმიტომ, რომ აღმოსავლეთის ზრტიოვანი უფრო ეწვევა ამ საქმეში, და მერევე ისა რომ აქ ახლო ღუქანია და მე-

ღუქნე ბევრს ხარჯავს ოდნე-კი ააშენონ იქ სკოლა. ასე უველმა აბრუნებს ჩვენი ნიკოლოზი სოფელს. მაგრამ... მაგრამ მიხვდებიან ამას და მას დაემართება ის რაც გასულ წელში, მის მეზობლებს დაემართა.

ამ სოფელში 1898 წელში გაჩნდა ევაილი და სოფელი გაანახევრა. ევაილი დღესაც არ გამქრალა, მაგრამ ერთი ამტრელიც არ მოუყვანიათ, აი ასე უზატრონოთ არის სოფელი. იმედია ამას ეველაფერს მიაქცევენ უკრადლებს აქაური შეგნებულნი ზირნი და გამოიყვანენ სოფელს ამისთანა მდგომარეობიდან...

„ა. — გუჩიაა“.



საზღვარ-გარეთ

ინგლისი. ინგლისის ხალხი თავ-თავის დროზე არაფერს არ იფიქრებს. როცა მისი ერთი ნაწილი ომიანობით გატაცებულია და სხვა აღარაინტერესდება-რა, მეორე ნაწილი შინაური საქმეებით არის მოცული და სოციალურ კითხვას ერთ დღესაც არ იფიქრებს. და აი, ამ ნაწილმა ერისამ თავი მოიყარა პირველ მაისს ლონდონის შესანიშნავ შუშის სასახლეში და შრომის დღესასწაული გამართა. შუშის სასახლე მართლაც სულ მთლათ ერთიანათ შუშისაა (გარდა იატაკისა) და მთელ ქვეყანაზე ერთი უდიდესი შენობაა. აქ თავისუფლათ დაგტევა ასი ათასი კაცი, ხოლო ზოგი ზალა იტევეს 15—20 ათას. და აი, ლონდონის მშრომელი და გამრჯელი ხალხი, ტრადიციონების და სხვა ორგანიზაციების ბაირადებით, შემოკრბა ამ დიდ შენობაში. ეს პირველი მაგალითია, რომ ამ „ბურჟუაზია“ სასახლეში წითელი ბაირალი აფრიალებულ იყოს და ამავე ბურჟუაზიის წინააღმდეგ სიტყვა წარმოთქმულიყოს. სასახლე ათხოვეს იმ პირობით, რომ ინგლის-ტრანსვალის ომის წინააღმდეგ არაფერი ეთქვათ, მარა ერთმა ორატორმა, სოციალისტმა ქველშმა, ველარ მოითმინა და ომსაც გადაწვდა. მე ყმაწვილობაში მასწავლიდნენ, თქვა მან სხვათა შორის, რომ პატრიოტობა თავისი ქვეყნის სიყვარულია, მაგრამ ახლა ეს შეაბრუნეს და ამბობენ, პატრიოტობა არის სიყვარული იმ ქვეყნისა, რომელიც ჩვენ არ გვეკუთვნის და უნდა დავი-საკუთროთო! არა, ეს არის ბატონთა პატრიოტობა, და არა ხალხის. ხალხს ეყოფა თავისი სამშობლოც, ოღონდ მისი პატრონობა და გაძლოლა კი დაანებონო... და ბოლოს მიტინგმა მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: 1) ბავშვების სახელმწიფო ხარჯით აღზდა, ჩაცმა-დახურვა და კვება; 2) გაუქმება ბავშვთა მუშაობისა; 3) კანონით შემოღება რვა სა-

ათიანი სამუშაო დღისა; 4) აგება საქალაქო მუშათა სადგომებისა, რომელნიც გაქირავდება მუშებზე იმ ფასათ, რა ფასიც აშენებაზე და მოვლაზეა გაღებული; 5) მოხუცებულთა პენცია; 6) საყოველთაო კენჭის უფლება და 7) ჯილდო პარლამენტის დეპუტატთ. შემდეგ ამისა, სასახლეში და მას ბაღში გაიმართა დროს სატარებელი დღესასწაული.

საფრანგეთი. საფრანგეთის ჩრდილო ნაწილის სამრეწველო ადგილებში დიდი მოძრაობაა. მოძრაობა ამ ჟამათ თვით ფაბრიკანტების მიერ არის გამოწვეული. საქმე იმაშია, რომ სამინისტრომ პარლამენტში გაატარა ახალი კანონი, რომლის ძალით ყველა სამრეწველო დაწესებულებებში სამუშაო დღე ამ წლის პირველი აპრილიდან 1902 წ. პირველ აპრილამდე განისაზღვრა 11 საათით. შემდეგ 1904 წლამდე 10 1/2, ხოლო 1904 წლიდან კი ათი საათი. ეს კანონი, რომელსაც მილიერანის კანონი ეწოდება, პირველ აპრილიდან უკვე შევიდა ძალაში. ფაბრიკანტებმა თქვეს, რაკი სამუშაო დღე შეამცირეს, ჩვენ ქირაც უნდა შეკამციროთო; და აი ამის წინააღმდეგი შეიქნენ მუშები. ესენი ამბობენ, სამუშაო დღის შემცირებით სრულებით არ მცირდება შრომის ნაყოფი, წარმოება, პირიქით დასვენებულ და კარგათ გამოკვებულ მუშას მოკლე დროში შეეძლება მეტი გააკეთოს, ვინც დაქანცულმა და სანახევროთ შშიერმაო. ამას ეთანხმება სხვადასხვა სამრეწველო მაგალითებიც. მაგ. მაისში გამოცემული ოფიციალური ანგარიში ავსტრიის საქსოვი ფაბრიკებისა ამბობს, რომ თუმცა გასული წლის პირველ ოქტომბრიდან კანონით შემოღებულ იქმნა ათი საათის სამუშაო დღე, ნაცვლათ 11 საათისა, მაგრამ წარმოება ამით არ შემცირებულა და არც ქირისთვის მოუკლიათ. მიუხედავად ამისა საფრანგეთის ფაბრიკანტები ურჩობენ. ამავე დროს, მილიერანმა დაიბარა ფაბრიკის ინსპექტორები და უბრძანა კანონის სასტიკათ დაცვა.

— ამ თვეში მოხდა მთელ საფრანგეთში ქალაქთა ხმოსნების არჩევანი. ამ არჩევნებს ყოველთვის დიდ მნიშვნელობას აწერენ, რადგანაც ხმოსნების თანა-მონაწილეობით ირჩევა სენატორები, ეს ქვეყნის უმაღლესი გამგენი, და მაშასადამე ხმოსანთ პოლიტიკური ძალაც ხელთ უბყრიათ. ამიტომაც, ბრძოლა საქალაქო არჩევნებში, განსაკუთრებით დიდ ქალაქებში, ტრიალებს პოლიტიკური კითხვების გარეშე. ამ მხრით შესანიშნავია, პარიჟი, ლიონი, მარსელი, რუბე, ტულუზა და სხ. პარიჟი და ლიონი დღემდის რადიკალების და სოციალისტების ხელში იყო, ხოლო მარსელი, რუბე, ტულუზი და მრავალი კიდევ სხვა სოციალისტე-

ბის. ასე რომ მაღალი და საშუალო ბურჟუაზია კი ხანია განიდევნა ამ ქალაქების თვით-მართველობიდან. ამათ დიდხანს არ სჯეროდათ, რომ მუშების თვით-მართველობა ერთ თვესაც გასტანს, მაგრამ ერთი თვე არა და რამდენიმე წლის გამოცდილებამ დაამტკიცა, რომ მუშების წარმომადგენელთ კიდევ უფრო კარგათ ცოდნათ ქალაქის საქირება და მისი მოვლა-პატრონობა. ამის საუცხოლო მაგალითია ქ. რუბე, რომლის თავათ მეწაღეთ ნამყოფი მუშა არის (გვართ კარეტი) და გამგეობასაც მუშები შეადგენენ. წლევედელ არჩევნებში ბურჟუაზიამ დიდი იერიში მიიტანა ამ ქალაქების ხელში ჩასაგდებათ, მაგრამ ყველგან დამარცხდა, ყველა ეს ქალაქები გაბატონებულ პარტიას დარჩა, გარდა სატანტო ქალაქისა. პარიჟმა უღალატა თავის წინანდელ პოლიტიკას და საბჭოში უმრავლესობა ბურჟუა-კონსერვატორთ არგუნა. ესენი გამოვიდენ საარჩევნო ბრძოლაზე არა წინანდელი სახელით, არამედ სრულიად ახალით. როგორც იცით, დრეფუსის საქმემ გამოიჩეკა ვერეთ წოდებული „ნაციონალისტთა პარტია“, პარტია მილიტარიზმის, რევანშის, შტაბის, სამღვდლოების და სხვა ამისთანა „ტკბილეულობის“ მოტრფიალე. ხოლო სოციალურ ხითხვაში ყოველივე უბედურობის მიხეზათ ურჩების კაპიტალს აღიარებენ. მოსპეთ ურჩები და თხა და მეგლი ერთათ იძოვსო—იძახიან ნაციონალისტები. ეს პარტია შედგა პარიჟის „ინტელიგენციის“ (კოპე, ჟიულ ლემეტერი, და სხ.) მეთაურობით და ამიტომ თავის თავს „intellectuelles“ — ინტელიგენტებს — უწოდებენ. ამათი პატრიოტული ფრაზები და დაპირებები სულ მთლათ ერთიანათ ეთანხმება პარიჟის ბულვარდების მცხოვრებთ, რომელთაც 1870 წ. პარიჟი შესძრეს—A Berlin—ბერლინი-ს ძახილით და ნამდვილათ კი ბერლინელები მოიყვანეს პარიჟში. ახლაც არ ივიწყებენ ამ ყვირილს და მთავრობა რომ კიდევ მათ აჰყვეს ვინ იცის ეგების კიდევ სირცხვილი ჭამონ. აი ამ მყვირალა ნაციონალისტთ მიემხრენ წელს კლერიკალები, კონსერვატორები, საშუალო და მაღალი ბურჟუები (ლიბერალები და რესპუბლიკანელი). პარიჟის კენჭის ყრამ მოგვცა შემდეგი ციფრები: სოციალისტებს ერგო 142,772 ხმა, რადიკალებს—29,473; ანტინაციონალისტ-რესპუბლიკანელთ 22,717. სულ 224,962 ხმა ნაციონალისტთა წინააღმდეგი. ნაციონალისტებს ერგოთ 122,650 ხმა, რეაქციონერებს (მონარქისტები)—20,220, ლიბერალურ რესპუბლიკელთ—26,795. სულ აწინდელი სამინისტროს წინააღმდეგი და ნაციონალისტთა მომხრე — 169,665 ხმა. სოციალისტებმა შეირჩინეს ყველა თავისი აღ-

გილი, სამაგიეროთ რადიკალებმა და რესპუბლიკანელებმა დაპყარეს. ამ ნაირათ, არჩეულ იქმნენ: 10 რეაქციონერი, 8 ნაციონალისტ-რესპუბლიკანელი, 24 წმინდა ნაციონალისტი, 5 ნაციონალისტ-სოციალისტ-რადიკალი (აი რა სახელებ-ა!), 4 სოციალისტ-ნაციონალისტი. ეს 51 ხმოსანი ნაციონალისტთა პროგრამით და დახმარებით ვათეთრდა. დანარჩენი 29 ხმოსანი არიან სოციალისტები და ორი-სამი რადიკალიც ურევია შიგ. მაშასადამე, საბჭოში ნაციონალისტთა ერთათ-ერთი ოპოზიცია სოციალისტებია. აქედან ცხადია, თუ რა მუდმივი ელემენტია სოციალისტთა ამრჩევლნი (მუშები) და რა წარმავალი რადიკალთა (წვრილი

სორი, 2 არხიტექტორი, 4 ნოქარი, 8 ჟურნალისტი, 7 ვაქარი, 2 ვაქართა აგენტი, 2 რანტი და თითო: ასოთ-ამწყობი, მრეწველი, ინჟინერი, დურგალი, მესტამბე, კალატოზი, მოსამართლეთ ნამყოფი, ბუხგალტერი, ოქრომქედელი, აფთიაქარი, ფოტოგრაფი, ფორტოპიანის მკეთებელი, ყასაზი, მასწავლებელი, წავნის გამომცემი, მეღვინე და სხ.

გერმანია. ბერლინის ქალაქის ტრამვაის მოძრაობა ორი დღის განმავლობაში ძალიან შეფერხებული იყო. აქა-იქ ქუჩებზე არეულობა და ჩხუბიც მოხდა. ეს გამოიწვია ტრამვაის მოსამსახურებმა,



კაფრების სოფელი ტრანსვალში


ბურჟუაზია) და რესპუბლიკანელთა ამრჩევლნი (საშუალო ბურჟუაზია). როგორც ხედავთ, კენჭის საერთო რიცხვი ანტინაციონალისტებს მეტი ერთგოთ, მაგრამ ხმოსანთა უმრავლესობა კი ნაციონალისტებია. ეს მომდინარეობს იქიდან, რომ არჩევანი უბნობით არის და არა თანახმათ მეკანქეთა რიცხვისა. თითო უბანმა მაგ. ორი ხმოსანი უნდა აარჩიოს, ხოლო მცხოვრებთა რიცხვი კი მეტ-ნაკლებია. მუშათა უბნებში, სადაც ხალხი შეჯგუფულია, მეტი მცხოვრებია, ვინც ბურჟუათა უბნებში, ხოლო ხმოსანთა რიცხვი ორიგემ ერთი და იგივე უნდა აარჩიოს. ამიტომ ამ უკანასკნელთ, რიცხვით ნაკლებს, ყოველთვის მეტი წარმომადგენელი ხვდებათ. ახალი ხმოსნები ხელობათ განიყოფებიან ასე: 20 ადვოკატი, 5 ექიმი, 2 პროფე-

რომელთაც აკვეთეს მუშაობა და მოითხოვეს ჯამაგირის მომეტება და სამუშაო დღის შემცირება, ამ საქმეში ჩაერია ქალაქის საბჭო და თავის საშუალებით ორივე მხარე შემდეგ პირობებზე დათანხმდა: სამუშაო დღე განისაზღვრა ქუჩებისთვის 9 საათით, ხოლო კონდუქტორებისთვის 11 საათით, ამაში შედის სამსახურისთვის მომზადება და კასის ჩაბარება. ჯამაგირი თვეში ახალ მიღებულ მოსამსახურეს 5 მარკა (მარკა=45 კაპ.), ექვს თვეს შემდეგ 90 მარკა და ასე აყვება ყოველწლივ 120 მარკამდი თვიურათ. ამას გარდა მოსამსახურეთ ეძლევათ ეგრეთ წოდებული „ვერსტის ფული“, გაკეთებულ ვერსტზე პროცენტები. თითო სადგურებთან იქნება დანიშნული განსაკუთრებითი კომისია, რომელიც მიიღებს ყოველსავე საჩივარს

მოსამსახურეებისაგან და გადასცემს ტრამვაის გამგეობას, მთავარი კომისიის მოვალეობა ჩამოვარდნილი უთანხმოება გასაჯოს და ორივე მხარე მოარიგოს. დაარსდა აგრეთვე საპენსიო კასა, რომლის გამგეობა შედგება თვითონ გზის გამგეობის და მოსამსახურეების წარმომადგენელთაგან. — ასეთივე მოძრაობა დაიწყო ჰამბურგის და მიუნხენის ტრამვაის მოსამსახურეთა შორისაც.

ბელგია. ამ თვეში ბელგიაში მოხდა პარლამენტის დებუტატთა არჩევნები თანახმით ახლათ გამოცემული ჰრეზოლუციისა და კანონისა. ამ კა-


ქალაქებში: ბრიუსელში სოციალისტებს 13,200 ხმა, კლერიკალებს—9,777, ლიბერალთ—6,659, პროგრესისტთ—5,026 და ქრისტიანულ დემოკრატთ—1,094; ლიუტში სოციალისტთ—14,132, კლერიკალთ—6,434, ლიბერალთ—5,761. პროგრესისტთ—2,161, ანტვერპენში ლიბერალთ—25,509, კლერიკალთ—23,420, და სოციალისტთ—7,721; შარლუაში სოციალისტთ—8,322, კლერიკალთ—3076 ლიბერალთ 1972 და სხ. კლერიკალების მთავარი ბურჯი სოფლებია.



დელამიწიდან ცეცხლის ამოხეთქა.

ნონის ძალით კენჭს უყრიან ზრა თითო კანდიდატს არამედ თითო პარტიას. რამდენ ხმასაც პარტია მიიღეს, იმის დაგვართ მიიღებს დებუტატთა რიცხვს, ხოლო თვითონ დებუტატის არჩევა პარტიის საქმეა. არჩევნები დასრულდა მთავრობის პარტიის (კლერიკალები) გამარჯვებით. პარლამენტში წელსაც ამათი მომხრე უმრავლესობა იქნება. კლერიკალები იქნებიან 84, ხოლო სოციალისტი, პროგრესისტი და ლიბერალი 68. (ამაში 33 სოციალისტია) აი რომელ პარტიას რამდენი ხმა ერგო უმთავრეს

ნიდერლანდია. ერთი იშვიათი ამბავი მოხდა ნიდერლანდის დელა-ქალაქში ამსტერდამში. სამ დღეს ამ ქალაქში არც ერთი გაზეთი არ გამოსულა. თვით ოფიციალური გაზეთიც შეჩერებული იყო. ასე, რომ სასახლეში იძულებული იყვნენ გეკტოგრაფით დაებეჭდათ ფურცლებზე სხვა და სხვა განკარგულებები. საქმე რომ გაჭირდა 12 სხვა და სხვა პარტიის რედაქცია შეერთდა და თვითონ რედაქტორებს შემწეობით შეუდგენ ერთი პაწია გაზეთის ბეჭდვას, სადაც ტელეგრაფებს და



საყურადღებო ცნობებს ათავსებდნენ და ამ რედაქციების ხელის მომწერო უგზავნიდნენ! საბედნიეროა, მთელმა ამ დავიდარაბამ გასტანა სამ დღეს, მეტი არა. მეოთხე დღეს სტამბამ ისევე ჩვეულებრივი საქმე განაგრძო. მიზეზი შეჩერებისა იყვენ ასოთ-ამწყობნი, რომელთაც ქირის მომატება, სამუშაო დღის შემცირება და სხ. მოთხოვეს. სტამბის პატრონებმა ყველა ეს დააკმაყოფილეს.

ა მ მ ნ ა კ ვ ნ მ ს ი



ღარ ვცდი, აღარც მიცდია,
ველარც გამოვცდი ღებნასა,
 ტანჯვით ვშობილვარ, ტანჯვითვე
 შევწვევტავ გულის ძკერასა!
 ვისგანაც შევებს ველოდი,
 სიხარულს, აღმაფრენასა,
 ერთ აზრით, ერთი რწმენითა
 ერთ შრამის გაგრძელებასა,—

იგი ეშმაკი უოფილა
 აღამანის სხსითა,
 სულის და გულის მამკვლედი,
 ჯოჯოხეთური მახითა.

თვით ბელზებელი რომ ვიყო,
 ზატრანი ჯოჯოხეთისა,
 თაყვანის მტეპი დვარძლისა,
 შურის და სიბნელებითა—

იმას ჩემ ადგილს შიგნემდი,
 რომ ძლიერს ეშმაკთ მეფესა,
 მეტი სიყაღბე, სიციუდე
 და მანდურება ეთესა...

არც მიკვირს ამ გვარ ხანაში
 აღამანის მკელობა,
 მხადოთა მწეინს და ეს წეენა
 გულზე ნადეკლათ მედეა!

მწეინს, რომე ასში ძლივს ნახავ
 ერთს წმინდა გულის ზატრანსა,
 სჯერთა მიზნით გამსკვალულს,
 საქმით სიყაღბის დამკმობსა.

ნეტავი რადის იქნება,
 რომ ამ კაცთ-მკვამელობასა,

გარუნელებას და სიძულვილს,
 შურსა და ოზბირობასა,—
 მოუვა ბოლო, სულს დაღვეს,
 გაჭქრება-გადაშენდება
 და იმის ნანგრევებზედა
 სიმატლე აღმოცენდება!

კ. გოგოლაძე

მსოფლიო გამოფენა ბარიუში.

(ერთი თვალის-გადავლებით).

(შემდეგი *)

ახლა შევიდეთ თვით რუსეთის პავილიონში. უმთავრეს კარს შევყავართ პატარა ეზოში. მარცხნივ იმყოფება ოფიციალური სტუმრების მისაღები დარბაზი, რესტორანი, აივანი, სადაც უკრავს რუსული მუსიკა; (ხშირათ გვესმის „Боже Царя храни“ და მარსელიეზა) მარჯვნივ და ბაზია, საუფლის-წულო (УДЪЛ. ВЪД.) მამულეებისა მთელ იმპერიაში, პირდაპირ-თურქესტანის ნაწილი, მის გვერდით კავკასია; პავილიონის სიღრმეში ექვსი დარბაზი ეკუთვნის ციმბირსა და შორეულ ჩრდილოეთს.

შევიდეთ „საუფლის-წულო მამულეებში“. უბირველესათ, კარებშივე, შევეყრებით ვეებერთელა გარეულ კამეჩს („ბიზონა“), მას ქვეშ აწერია: „ტროფეი მათი იმპერატორებითი უდიდებულესობის ნიკოლოზ მე II-ისა“. ზალაში საკმო კოლლექციაა ხე-ტყის, მცენარეულობის, ნიადაგის და თესლეულობის; აგრეთვე მიწის და ხე-ტყის წარმოების ნიმუშები ფოტოგრაფიულ სურათებში. შემდეგ სამეურნეო იარაღები: ფიწლები, თოხები, ნიჩბები, ნაჯახები და სხ. მოდელი ხე-ტყის დიდი ქარხანის (არხანგელის გუბერნიაში); აგრეთვე ჩვენბური ტიკების მოდელი. მერე ყირიმის მევენახეობა, ყირიმის ღვინის უშველებელი სარდაფი; შავი-ზღვის პირის „რელიეფიური“ რუქა; „რუსული ჩაის“, ე. ი. ჩაქვის ჩაის ნიმუშები; ჩაქვის ბუნების მცხოვრებთა, ჩაის პლანტაციების და მათი წარმოების ფოტოგრაფიული სურათები; აქვე არიან „პერესელენცებიც“, (რუსეთიდან გადმოსახლებულნი). შემდეგ კახეთის საუფლის-წულო ვენახები. მრავალ ფოტოგრაფიულ სურათებში წარმოდგენილია ღვინის სარდაფები, სხვა და სხვა ხელსაწყობები, ვენახის წარმოების და ღვინის დაყენების თითქმის ყველა მომენტები. ვხედავთ როგორ დასევიან ქართველი ქალები ვენახებს, როგორ გაცხარებით მუშაობენ ბიჭები, რა ერთგულათ

*) იხ. „კვალი“ № 21.

ეზიდებიან ყურძნით დატვირთულ ვაგონებსა და ურმებს სარდაფისაკენ; შემდეგ ვხედავთ ხელმწიფის ახალსა, ძველსა და უძველეს (7—8 წლის და მეტის) ღვინის ჭაწნიკებს (ბოთლებში), აქვეა ყურძნის ბუნებრივი მტევნები (რქაწითელი, საფერავი, თავკვეტი, თითა და სხ.), დასასრულ ბამბის და ძაფეულობის ნიმუშები. დარბაზის შუა ვიტრინაში „ჯვარ-ცმა“ „მოზაიკით“ და რამდენიმე სხვა ნაწარმოები ხელმწიფის „გრანილი“ ფაბრიკიდან პეტროგოფში. კედლებზე მრავალი ქარტები, ქარტოგრაფები, ტაბლიცები (ცხრილები), სადაც აღნიშნულია მამულების რაოდენობა და განაწილება, წარმოების რაოდენობა და შემოსავლიანობა სხვა და სხვა წლებში სხვა და სხვა გუბერნიებში. ზოგი ნაწილი ნაჩვენებია 1800—1900 წ—დ. საერთოთ ამ დარბაზში მეტ ყურადღებას იქცევს ვენახის და ხე-ტყის წარმოება. ციმბირის უმთავრეს დარბაზში წარმოდგენილია ტაბოლის, ენისეისკის, ირკუტსკის გუბერნიების და ვილუისკ, იაკუტსკის ოლქების ფლორა (მცენარეულობა), ფაუნა (ცხოველები) და ფთოვრათა (ხალხი), (ციმბირის ის მხარე კი, რომელსაც კარგათ იცნობს რუსეთის იმპერიის თითოეული მცხოვრები თუ არა, რიგიანი „მოქალაქე“ მაინც, და რომელზედაც ევროპაში ან სულ არა იციან რა ან და მეტათ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვსთ, ეს მხარე—რასაკვირველია სრულეზბით არ არის ნაჩვენები). ციმბირელთა ხისა და რკინის პრიმიტიული (პირვანდელი) შინ სახმარი ნივთები თუ სანადირო იარაღები, ხისა და ტყავების ჯოხები, ტყავის ტანისამოსი, ყველა მოწმობს, რომ ის ქვეყანა ჯერ ისევ თითქმის ველურ მდგომარეობაში იმყოფება. ხალაში არის სხვათა შორის რამდენიმე მოდელი ფოსტის გადატანისა ჩრდილოეთში. ერთგან, ტბაზე ქალებს ნავით მიაქვთ ფოსტა; მეორეგან, თოვლ-ყინულში მარხილით მისრიალებენ; მარხილში აბია 3 ცხენი „სუგით“, მესამეგან მარხილში ამ გვართვე უბიათ ძაღლები; ერთი ძაღლიც წინ მიუძღვით გზის-მაჩვენებლათ; ერთგანაც ესკიმოსების მარხილს ირმები მიაფრენენ, ყურადღებას იქცევს აგრეთვე ერთი ჯგუფი ადგილობრივ მცხოვრებთა. წარმოდგენილია რელიგიურ ექსტაზში მოსული „შამანი“ (კუდიანი), გაცხარებული აპრახუნებს დაირას და იწვევს ციურ ძალებს ცოდვილ მიწიერთა განსაკურნავათ. მას შიშითა და სასოებით მისჩერებიან ძონძებსა და ტყავებში გამოხვეული მისივე თანამოძმენი. დარბაზში საკმაოთ არის დათვების, „მორჯის“, მცლების და სხ. „ჩუჩელოები“. უფრო კიდევ მეტი ძვირფას ბეწვიანი ტყავეულობა. თითო ტყავის ფასია 120—500 მან. ერთი მელიის პატა-

რა ტყავიც 800მ-ათ არის დაფასებული. აქვე არის მამონტის ორი ეშვი, თითო მწონაა 6 ფუთამდე. შემდეგ გვერდის დარბაზში გაგრძელებულია ესევე გამოფენა. იქ ვხედავთ სხვათა შორის კოლლექციას ციმბირის მინერალებისას, ქვა-ნახშირის ნიმუშებს (ირკუტსკიდან); აგრეთვე ხელმწიფის ძვირფას მარმარილოს ვაზებს და სხვა ამგვარ ნაწარმოებს ეკატერინბურღის ფაბრიკიდან. ამავე დარბაზში ყურადღებას იქცევს თავ. უხტომსკისაგან შეგროვილი კოლლექცია ბუდას სარწმუნოების ღმერთებისა. ამ კოლლექციით ვხედავთ, თუ რა საპატიო ადგილი უპოვია ადამიანთა სქესებრივ ურთიერთობას ღმერთებს შორის; ვხედავთ, რომ ადამიანს თავისი საკუთარი სურვილები და მისწრაფებანი გაუღმერთებია, ე. ი. თვითონ შეუქმნია ღმერთები და არა უკუღმა, ღმერთებს ადამიანი. ცალკე ოთახში გამოფენილია თევზეულობა, კონსერვები (სარდინკები და სხ.), თევზის საქერი ბადეები და სხვა ხელ-საწყობები.

უმთავრესი დარბაზის მეორე გვერდის სამ ოთახში წარმოდგენილია ციმბირის რკინის გზა. დაწყებული 1891 წ. ეს გზა უმთავრეს მანძილზე უკვე მზათა ყოფილა. მატარებელი დადის ჩელიაბინსკიდან სრეტენსკამდე და ხაბაროვსკიდან ვლადივოსტოკამდე. 2—3 წელს შემდეგ კიატლანტიის ოკეანე რკინის გზით შეერთებული იქნება წყნარ ოკეანესთან. სულ მოკლე დროში ციმბირის თოვლ-ყინულზე აყვავდება თანამედროვე კულტურა და მაშინ რუსეთიც ხომ დაჰკარგავს დღევანდელ მოღრუბლულსა და მკაცრ სახეს. დასახელებულ ორ დარბაზში გამოფენილია რკინის ლიანდაგის, ხიდების, სადგურების, საშენებელი მასალის მოდელეები; საინჟინერო „ჩერტეჟები“, პლანები; გზის შენობის პროცესი, იმ მხარის ბუნება, მცხოვრებლები მრავალ ფოტოგრაფიულ სურათებში. მესამე დარბაზშია მინუშები ციმბირის რკინის გზის კომიტეტის მოქმედებისა, შესახებ ციმბირის კოლონიზაციისა და წარმოების გამოღვიძებისა; რუქა კოლონიზაციის რაიონისა ჩელიაბინსკიდან ბაიკალამდე (800 ვერსტი სიგანე და 3,200 ვერსტი სიგრძე). ქარტოგრაფები და ტაბლიცები მაჩვენებელი იმისა, თურა სისწრაფით იზრდება ციმბირის დასახლება, შემდეგ აკოლინის ოლქის და ტაბოლის გუბერნიის ნიადაგი: მცენარეულობა, ხორბლეულობა ფოტოგრაფიულ სურათებში; გეოლოგიური გამოკვლევანი და სხ. საერთოთ უნდა შევნიშნო რომ რუსეთის ნაწილს ტროკადეროში აკლია წეს-რიგი და კლასიფიკაცია, რუსეთს თავის განყოფილებები აქვს, გარდა ტროკადეროსი, გამოფენის სხვა ნაწილებშიაც. მალე გამოაცემა გამოფენისთ-

ვის დანიშნული ცალკე წიგნი „Россия въ кон-
цѣ XIX вѣка“ (ფინანსთა სამინისტროს გამო-
ცემა). შინაარსათ ექნება: იმპერიის სივრცე, სა-
ხელმწიფო-წყობილება, მეურნეობა, მრეწველობა,
სამომავლო გზები, საშინაო და საგარეო ვაჭრო-
ბა, ფინანსები, კრედიტი, სახალხო განათლება,
სამხედრო ძალა. ავტორებია: პ. სემიონოვი, ნ.
კარიშვი, მენდელეევი, დემენტიევი და სხ. მარა
განვაგრძოთ გამოფენის დაუვალეობა.


თურქესტანის (ამიერ-კასპის, სამარყანდის,
ფერგანის, სირდარიის, სემირეჩინის ოლქები)
დარბაზი საკმაოთ მოზდილი ოთახია. მორთულია
მრავალი ხალებით, ხალიჩებით, ფარდაგებით და
აღმოსავლეთური ხომლებით; ორ კედელზე ადგილო-
ბრივ მცხოვრებთა აღაროსი და სხ. დიდრონი სურა-
თებია. შუა ადგილას შადრევანი მცენარეებით. ერთ
კედელზე და ვიტრინაში მოხდენილათ არის გამოწყო-
ბილი ბუხარის ემირის საკუთარი ტანსამოსი: ფეხ-სა-
ცმელი, იარაღი და სხვა სამკაული; აბრეშუმის და ოქ-
რომკედით ნაკერი კაბები, წამოსასხამები, ოქრო-
მკედითვე ნაკერი წულები, ძვირფასი ბეწვის ქუ-
დები; ოქრო-ვერცხლით შექედილი ხმლები, ხან-
ჯლები, თოფები, დამბაჩები, პატრონტაში; აგრე-
თვე ვერცხლის ყუთები, აბრეშუმის ქსოვილებანი,
ბაღდადები და სხ. შემდეგ ხის, თიხის და სპილენ-
ძის ჭურჭელი, პირვანდელი ნავი, აქლემებით ფო-
სტის გადატანის ნიმუში. თურქესტანის ეთნოგრა-
ფიული „რელიეფიურა“ რუქა, ნიმუშები ბრინჯის,
სიმინდის, ქერის, ფეტვის, პურის, შვრის, ბამბის
და სხვა მცენარეულობისა და მარცვლეულობისა.
აგრეთვე ხმელი ხილეულობა: ქიშიში, ჩირი, ოხი-
ლი, კაკალი და სხ. დარბაზის ერთ კუთხეში კავკა-
სიური ხეების ნიმუშებია. (კაკალი, მუხა, რცხილა,
ურთხელი, ცაცხვი და სხ.)

თურქესტანის დარბაზის ერთ გვერდის კარს
პატარა კიბით ჩავეყვართ ორ დარბაზში. ერთი
საკმაოთ მოზდილია, მეორე ძალიან პატარა. პირ-
ველში წარმოდგენილია ნობელის ნავთის წარმოება
ბაქო-ბალახანაში. არის ამ საგნის შესახებ სურა-
თები, სხვათა შორის ბალახანის „უქრობელი ცე-
ცხლების“; რამდენიმე მოდელი ნავთის საწარმოვო
მაშინების და აგრეთვე ტაბლიცები წარმოების რაო-
დენობის და შემოსავლიანობის შესახებ.

მეორე დარბაზში მოთავსებულია კავკასიური
განყოფილება. აქ მნახველთა ყურადღებას უპირვე-
ლესათ იპყრობს საცეკვაოთ ხელ-გაშლილი, სარ-
ტყელ-გულისპირიან კაბაში გამოწყობილი, თავ-
დახურული ქალი (სანთლისაა, რასაკვირველია, თო-
რემ ცოცხალს აქ ვინ გააჩენდა.) სიამოვნებით

აჩერდებიან მის ცოცხალ, მგრძნობიერ უზგ-თვა-
ლებს, ზოგიც უწონებს სილამაზეს: Oh, comme
c'est jolie!.. qu'elle est belle! და თან უმატებენ
Oh, géorgienne! ისეთი კილოთი, რომ რაკი ქარ-
თველი ქალი ყოფილა, რასაკვირველია ლამაზი
იქნებაო. ჩვენი აზრით კი ეს ქალი საერთოთ აღე-
ბული მხოლოთ ტიკინია და სრულებით ვერ იძ-
ლევა ნამდვილ წარმოდგენას ქართველ ქალზე. და
თუ მოსწონს, ან იმიტომ, რომ უკვირთ ამ უც-
ნაურ სამოსელში ასეთი სანდომიანი სახის არსება
რამ მოათავსაო, ან წინეთ განზრახული აზრით
უცქერიან. მოგვხსენებათ ქართველ ქალს სილა-
მაზის სახელი აქვს მოფენილი მთელ ქვეყანაზე.
ქართველი და საქართველო აქ ან სულ არ იციან
საქმელია თუ სასმელი, ან თუ იციან, იციან ორი
რამ: საქართველოში ლამაზი ხალხია და საქართვე-
ლოშივეა კავკასიონის მთები. „ქართველ ქალს“
გვერდზე უდგას ბუზმენტებიან ჩოხა ჩაცმული
კაცი, ბუზმენტებიანვე ყაბალახ ვადაგდებული, ქა-
მარ-ხანჯლით და ფაფახი ქუდათ. სახე ამაყი და
გამბედავი აქვს. ზედ აწერია „ლეკი“. მნახველთა ყუ-
რადღებას იქცევს აგრეთვე კურტნიანი ქართველი
მუშა, რომელსაც ზურგზე ჰკილია კაი მოზდილი
ტიკი, წელში ძალზე არის მოხრილი, ჩოხის კალ-
თებიც კარგა გძელათ ეთრევა იატაკზე. ალბათ
ჩვენ მეკურტნეებს ისიც არა ცოდნიათ, რომ რო-
ცა ზურგით რამე ტვირთი მიაქვთ და ჩოხის კალ-
თებს მიწაზე დაათრევენ, შეიძლება ფეხი დაიდგან,
წაიბორძიკონ და ცხვირ-პირი დაიმტვრიონ. ამ
მუშას აქაური მუშები სიბრალულათა და გოცე-
ბით უყურებენ. ერთმა მნახველმა ასეთი კომპლი-
მენტით დააჯილდოვა: c'est assez bête ça! (ეს
საკმაოთ სულელი ყოფილაო) ოთახში დგას კიდევ
ერთი „კაცი“, თუმცა აბჯარსა და ჩაჩქანშია ჩამჯ-
დარი (მართალია უხეიროთ,) მარა მაინც საცოდავი
სანახაობა აქვს. ზედ აწერია „ხევსურდი“. ამის პირ-
დაპირ დგას „თუშის დედაკაცი“. — ჩამუშლი ხეი
რიანათ არის, მარა სახე კი სულ არ უგავს თუშის
დედა-კაცს, — მას გვერდით უდგას ტყავში გამოხვეუ-
ლი მოხუცი „ავარიელი“.

ოთახის კედლებზე გაკეთებულია ხალიჩები,
ხალები, ფარდაგები. ყურადღებას იქცევს ორი
ხალი, ღირებულება აქვთ მგონი 1000—2000 მ.
ერთ კედელზე კავკასიონის მთების დიდი სურათია.
არის აგრეთვე კავკასიის რელიეფიური რუქა,
აგრეთვე რამდენიმე ფრინველის ჩუჩელოები:
ხოხობი, კაკაბი, ყაპყაბი, წერო; ცხოველები: ირემი,
ჯიხვი, მელია. გამოფენილია შინ ნაქსოვი შალე-
ბის ნიმუშები. მატყლისა და ბამბის ნიმუში. თამ-
ბაქო, პაპიროსები, ზოგიერთი სულაღი, მცენა-
რეულობა, თესლეულობა, ვნდრო, აბედი, ტყლაპი.
ბაქოს გუბერნიიდან ორიოდე განჯური ყურძის



მტევანი, ორი ნაჭერი განჯურზე ჩურჩხელა, ორი კახური ჩურჩხელა (ისეთი გამხმარი და გაშავებული, რომ ამით ჩვენში ახალ-წელიწადს ,,ტკბილათ დაბერებასაც“ კი ვერ შეჰკადრებენ). თხილი, ხურმა, ჩირი (ჭანჭურის, ატმის, ჭერმის).

წარმოდგენილია რამდენათმე მებაბრეშუმეობა, უფრო კი ფოტოგრაფიულ სურათებში; არის მხოლოდ რამდენიმე ნიმუში პარკის და მერდინის. მეფეთკრეობაც მხოლოდ სურათებშია, თუ არ მივიღებთ სახეში გურიის საეპროამხ. ,,შუამავალის“ ერთ ნაჭერ კაშტ სანთელს. შემდეგ მინერალური წყლების ნიმუშები (ბოთლებით); მადნეულობის კოლექცია; სხვათა შორის მარგანეცი, ლითონ-გრაფიული ორი დიდი ქვა, მერე ვერცხლეულის ნივთები; შევერცხლილი ხანჯლები ქამრები, მასრები, მათრახები, გიშრის კრიალოსნები, ყანწები, კულა, სინები, თიხის ჭურჭელი, აკვანი, ქუდები, ქაშები, ფლოსტები, ჩონგურები, დაირა, დოლი, ქიანური, დიპლომატიკა. გარდა ამისა: დასურათებული ვეფხის-ტყაოსანი, ბუნების-კარი, დედა-ენა, ტატიშვილისაგან გადმოღებული ანბანი, საქართველოს საეკლესიო მუზეუმის მხოლოდ კატალოგი; რამდენიმე უმნიშვნელო ბროშურა, კავკასიის მუზეუმის კატალოგი, ანგარაშები, გეოგრაფიული ალბომი, კავკასიის გეოლოგიური მასალა (2 ტომი), კავკასიის სამთო სამმართველოს გამოცემა, ხიმიური ანალიზი და მოკლე აღწერა კავკასიის მინერალური წყლებისა; მინერალური წყლები (ესენტუკის, კისლოვოდსკის) ორ დიდ ალბომში; თფილისის მცხოვრებთა სტატისტიკა 1876 წ. (სტატ. კომიტ. გამოცემა), სტატისტიკური ცნობები კავკასიის მცხოვრებთა მოძრაობის შესახებ (ზეიდლიცისა), კავკასიის კალენდარი 1899 და 1900 წ. წ. თფილისის პირველი გიმნაზია ფოტოგრაფიულ ალბომებში; ამავე გიმნაზიის ანგარიში 1890 წ. ახლო მომავალში გამოიცემა გამოფენისათვის დამზადებული ცალკე წიგნი ფრანგულ ენაზე საქართველოს შესახებ.

როცა ჩვენ დავათვალიერეთ კავკასიური განყოფილება, შევსებას აკლდა მხოლოდ რამდენიმე ნიმუში ქართულ პერიოდულ გამოცემებისა და ღვინის ჭაწნიკები. ძლივს ღვინო ბოლოში მოქცეულა! თუმცა უკეთესი იქნებოდა ღვინო იქ მოექცეოდეს ბოლოში, საცა პირველობს და აქ კი მას შესაფერი ადგილი დაეჭირა. პერიოდული გამოცემები..., მარა ესენი ხომ მაშინ არის მოსაგონებელი, როცა ჯერი ,,ბოლემიკაზე“ მიდგება და ლიტერატურული კრივი და შაირობა გაჩაღდება. იმედია ამგვარებში უცხოელნი ვერ დაგვჯახნიან. (,,ივრიის“ შვილები ვართ და!)

საერთოდ კავკასიური განყოფილება მეტათ სუსტია, მეტათ მკრთალი და შორეულ აჩრდილსაც ძლივს იძლევა კავკასიაზე. ,,ქართველ მესაკუთრეთა

წარმომადგენელმა, სამინისტროსაგან ოფიციალურად დანიშნულმა მსოფლიო გამოფენის რუსეთის სექციის უმთავრეს კომისარიატთან“ ბ. ისარლოვმა გადმოგვცა, რომ ისეთ ძნელ პირობებში, როგორშიაც ჩვენ მოგვიხდა მუშაობა, ქართული განყოფილების შემზადება, კიდევ დიდათ საკვირველია, რომ ეს მაინც მოვახერხეთო... ჩვენ, ჩვენი მხრით, საქართველოს მონაწილეობის მიღებას მსოფლიო გამოფენაში - ამ პირველ ნაბიჯს ჩვენი ქვეყნის საჯაროთ ჩარევისას საერთო შორისო საქმეში - ვუსურვებთ უკეთეს მერმისს.

ლ. დ.

(შემდეგი იქნება)

ჯავახეთი და ჯავახელნი.

II

(გაგრძელება) *

ჯავახეთი თუმცა პატარა კუთხეა, მაგრამ რამდენიმე ეროვნებისა და სარწმუნოების წარმომადგენლებს იტევს. აქ ცხოვრობენ ქართველები მართმადიდებელნი და ქართველები კათოლიკენი, სომხები გრიგორიანები და სომხები კათოლიკენი, მაჰმადიანები, რომელთა ერთი წილი წინეთ ქართველები ყოფილან და აქა იქ ბერძენიც, რომლებიც უმთავრესად გამო სრულებით გადაგვარებულიან: ვინც სომხებში დასახლებულა, გასომხებულია, ვინც ქართველებში, გაქართველებულა. ჯავახეთის მთელი ცხოვრებნი თითქმის მარტო ერთი წოდების-გლეხობის წარმომადგენლები არიან, გარდა მაჰმადიანი ბეგებისა, რომლებიც ძველი ქართველი თავად-აზნაურობის შთამომავლობა არიან და გვარიც ქართული შერჩენიან, მაგ. ფალავანდიშვილები, ერისთავები, დიასამიძეები და სხ. სამწუხაროთ ბეგებში არ არის შეგნებული ის აზრი, რომ ისინი სისხლით ქართველები არიან და, აქა და მაჰმადის მიმდევარნი ვართო, თავის თავს თათრებს უწოდებენ. რადგანაც ერთგვარმა ცხოვრებამ ძალიან დაამსგავსა ერთმანეთს ქართველი, სომეხი და მაჰმადიანი გლეხი, ამიტომ მათი ცალ ცალკე დახასიათება საჭირო არ არის. დავახსიათებ საზოგადოთ აქაურ გლეხს და, თუ მცირედნი განსხვავება აღმოჩნდება სხვა და სხვა გვარტომობის წარმომადგენელთა შორის, იმასაც აღვნიშნავ: ჯავახელი გლეხი არის საშუალო ტანის, ჩასხმული აგებულობის; ისეთი მოხდენილი ტანადობის პატრონს, როგორც იმერეთში, აქ ძვირათ შეხედებით. სხვილია თუ წვრილი, აქაურ გლეხს კისერი, ბეჭები და წელი გასწორებული აქვს, თითქოს გამოუცდელ მოქანდაკეს გამოუჭრილა. თმა

*) იხ „კვალი“ № 21.

და უღვაში წაშავო აქვს, თხელ და მოკლე წვერს იპარსავს; სახის ნაკეთიერება მაინცა და მაინც ტლანქი არა აქვს, თუმცა სინაზესაც ძალიან ბევრი უკლია. მისი სოფელი ჯავახელ გლეხისათვის მთელი ქვეყნიერებაა; სამოთხეში რომ შეიყვანოთ და სრულ ნეტარებაში ამყოფოთ, თუ მოახერხა, მაინც თავის სოფელში გამოიპარება, მაინც თავის ქოხს ამჯობინებს. რას აკეთებს ის თავის ქოხში? როგორ ატარებს დროს თავის სოფელში? ვახდება თუ არა თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლისა, ის უსათუოთ ცოლს ირთავს. რადგანაც აქ ზამთარი გძელი იცის და ამ დროს აქაურ გლეხს არავითარი საქმე არა აქვს, ის ნაგავში გორავს მხოლოდ და პაპიროზს ეწევა. ვერ ნახავთ აქ გლეხს, რომ პაპიროზს არა წევდეს. ყალიონი კი ჯერ არავის ხელში არ დამინახავს. რადგანაც თუთუნი აქ არ მოდის და ყიდულობენ, ამიტომ აქაურ გლეხს პაპიროზზე, სულ რომ ცოტა იანგარიშოთ, ხუთი მანეთი მაინც დაეხარჯება წელიწადში. ზამთარში აქაური გლეხის ერთათ ერთი საქმე ეს არის: პაპიროზის განუწყვეტელი პლაკუნი და ნაგავში გორაობა. თავის კანს აქაურ ადამიანს ვერ დაუნახავთ, რადგანაც თითის სისქე თებო აკრავს ზედ. რა ფერის არის, ვერ გაიგებთ, რადგანაც ქუჭყით არის გაზლიქნილი, არა თუ მამაკაცები, ვასათხოვარი ქალებიც ზამთარში კვირაში ერთხელ არ დაიბანენ ხელსა და პირს. ამის გამო კანის ავთამყოფობა აქ საშინლათ არის გავრცელებული. გაშუადდება თუ არა მარტი, ჰაერი გათბება, სოფლებში თოვლი აღარ არის და ჯავახელი გლეხიც გარეთ გამოდის, წამოწვება მიწაზე, ხან პირს უფიცხებს მზეს, ხან ზურგს და ამგვარათ გორაობს მზეზე საღამომდე. ასეთ ნეტარებაში ატარებს ჯავახელი მთელ ერთ თვეს შუა აპრილამდე. მაგრამ მას მარტო კოტრიალი არ უყვარს. ყოველ სოფელში ამორჩეული აქვთ ალაგი, რომელიც უფრო კვიანია და რომელსაც უფრო ხვდება მზე, ყველა ნეტარების მოტრფიალე აქ იყრის თავს და ერთათ გორაობენ. ჯერ ერთ-მანეთს ელაზღანდარავენბიან, როცა მოილაღებიან, ძილს მიეცემიან. ამ დროს რომ ჰკითხოთ ჯავახელს: ვინ არის ქვეყანაზე ყველაზე უფრო ბედნიერიო, უსათუოთ თავის თავს დაასახელებს! შუა აპრილიდან ჯავახელი შეუდგება ხვნასა და თესვას; თესავს მარტო პურსა და ქერს. სიმინდი აქ არ მოდის, ვენახი არ არის; ამის გამო მუშაობა და ჯაფაც აქაურ გლეხს გაცილებით ნაკლები აქვს, ვიდრე ქართლელს ან იმერელს; მარიამობის-თვეში მოსავალს სახლში მოიტანს, ჩაპყრის ორმოში და ისევ თავისუფალია. ამგვარათ ჯავახელი გლეხი მხოლოდ სამ ან ოთხ თვეს მუშაობს, რვა ცხრა თვეს სულ თავისუფალია. ამდენ დროს ის ნაგავში კოტრიალსა და ძილს ანდომებს მხოლოდ; კეტი რომ ურტყათ, ვარეთ ვერსად გააგდებთ,

რომ ორიოდე კაბეკი იშოვნოს და პერანგი გაეცადოს მოიცვალოს. თუ ეტყვი: კაცო, მთელი რვა თვე რომ უსაქმოთ ხარ, გარეთ გადი სადმე და, თავი რომ გამოიკვებო, ისიც კარგიაო, ან არაფერს არ გიპასუხებთ და მხოლოდ გაიღრიჭება, ან საბუთებს წარმოგიდგენთ: აქაურ ადამიანს სხვა ჰაერი წყენს, აი ორიოდე წავიდენ აქედან, მაგრამ ვერსად გაძლეს და ისევ უკან დაბრუნდენო, კველა ამ ღირსებასთან ერთათ, ჯავახელი გლეხი ერთობ ბრიყვია, ხეპრე და უზრდელი. მან იცის, რა არის შიში, რა არის მორჩილება, მაგრამ ზრდილობა, პატივისცემა მისთვის უცნობი ხილია. მარტო პატივისცემით ის არაფერში არ დაგებმარებათ. თქვენთვის წკირს არ გატყენს, სამაგიეროთ არც თქვენგან ითხოვს პატივისცემას. თუ რამეში დაჭირდით, ქრთამს შემოგაძლევთ: მას ვერ წარმოუდგენია, რომ უქრთამოთ სხვისთვის შრომის გაწევა შეიძლებოდეს. თუ ეცით პატივი, შეიბრალებთ, უსასყიდლოდ დაეხმარეთ-ის მაინც დარწმუნებულია, რომ თქვენ ან რაიმე გამოჩენა გაქვსთ აქედან, ან დაამისთვის თვით მთავრობა გაძლევთ ფულს.

უნდა აღვნიშნო, რომ ზნეობრივ მხარეში სომეხი და ქართველი გლეხი ერთი მეორისაგან განირჩევიან. სამართლიანობა, პატიოსნება, თავმოყვარეობა ქართველ გლეხში ცოტათ თუ ბევრათ გავლებულია, სომეხი გლეხი კი ყოველივე ამას მოკლებულია. სომეხი გლეხი აქ არც სიცრუეს, არც თავის დამცირებას, არც უსამართლობას არ გაუჩერდება, რომ როგორმე თავის მიზანს მიაღწიოს; მისთვის არსებობს მხოლოდ მიზანი, საშუალება კი ყველა კარგია. ქართველი გლეხი კი საშუალებასა და თავის პიროვნებასაც დიდ ყურადღებას აქცევს. მიწის ძვრის შემდეგ დახარალებულთ ურიგებდენ ფქვილს, საქონელს და სხ. ქართველ გლეხებს რცხვენოდათ მოსვლა და როცა მე თვითონ ვეტყვილი ხოლმე: ხომ თქვენც დაგეკარგათ ბევრი რამ, რატომ არ მიდინხართ და არ ითხოვთ მეთქი, მიპასუხებდენ ხოლმე: გვრცხვენია, ბატონო, ფქვილის სათხოვრათ როგორ მივიდეთო. სომეხი გლეხები კი თავის ფქვილს ჰყიდდენ, მოდიოდენ და კომიტეტს თხოვდენ ფქვილი არა გვაქვსო. ამ გვარი მაგალითები რომ მოვიყვანო, ერთი თაბახი არ მყოფა და არც საინტერესოა, სამწუხაროა მხოლოდ. ამ გარემოებას დეე, ჩვენი სომხოფობები ნუ დაიხვევენ ხელზე და ნუ დაიწყებენ ყვირილს: აი შეხეთ სომხობის დაბალი ხალხიც კი რამდენათ დაცემული ყოფილა ზნეობითო, ნურც სომხოფილები მიკიჟინებენ; მე არც ვიწრო შეხედულობის პატრიოტათ მიმაჩნია ჩემი თავი, არც სომხოფობათ, მაგრამ სამწუხაროა და ვასაკიცხ მოვლენას ქართველებში ვნახავ, თუ სომხებში,—არსად არ დავმაღავ. უგუნურებასთან ერთათ აქაური გლეხი მეტათ განუვითარებელია, გონება დასშული და, თითო-ოროლა სოფელში სასწავლებლები რომ

არ იყო, კიდევ უარესი იქნებოდა. ცხოვრება აქ მეტათ პრიმიტიულია, სამუშაო მასალას არავათარს არ აძლევს გონებას, ბუნება ღარიბი და მკაცრი, კუთხე მეტის-მეტათ მივიარდნილი და ყრუ, ხალხი მიბაწრულია თავის მიწას ისე, რომ გარეთ ვერსად გაახედებოთ,—ასეთ პირობებში აქაურ გლეხს რა განუვითარებს გონებას, რა გამოიყვანს სიბნელიდან?! ამ გვარათ სიბინძურე, საშინელი სიზარმაცე, უზრდელობა, გონებრივი სიბნელე, წინ წაწევის სურვილის სრული უქონლობა,—აი ჯავახელი გლეხის უმთავრესი თვისებანი.

ი. გომართელი.

(შემდეგი იქნება)

ფანტაზია

პაწია სურათი



თვარიანი ღამეა. ღია ფანჯარასთან მჯდომარე თინას მოწყენილი და სწორეთ ამ მოწყენილობით მიმზიდველი წაბლის ფერი თვალები სადღაც შორს, უღვეველ

სივრცეში გაცქეროდენ. გული უცნაურათ უძგერდა და მთელი ტანი რაღაც ცახცახს აეტანა.

— ინტელიგენცია... საზოგადოება... ხალხი... მოღვაწეობა... ქველ-მოქმედება... სკოლები... თეატრები... იმეორებდა ის.— ოხ, რა ცარიელი სიტყვებია! დიახ, სიტყვებია და სხვა არაფერი!.. და ამ სიტყვებით ვნუგეშობთ... მითი ვცოცხლობთ... მაშ რა გაკეთებულა ყველა ამავებით, თუ არ სიტყვების მთელი გორა?.. რა სიმსუბუქეს გრძნობს ამით ქვეყანა?.. ოხ, რა ბედნიერია, ვინც ამ უშინაარსო და უაზრო მოქმედებით კმაყოფილდება!.. დიახ, ბედნიერია ვის გულსა და გონებასაც არ მოხვედრია ცხოვრების მღვრიე ტალღები!.. ნეტარ არს, ვინც ცხოვრების ოღორ-ჰოღორ და ღრიანკელ გზებს ვერ ამჩნევს!.. რა სიტკბოებით დაიძინებს, ვისაც არ გაუცვნია გამეფებული უსამართლობა, ვისი გონებაც მოშორებულია ქვეშა-რიტების დანახვას და ბნელი წყვდიადის ნაცვლათ შუქ-მომფენი ჩირაღდანი ეჩვენება ყველგან!.. ღმერთო!.. მაგრამ რას ვამბობ... „რწმენა იქონიეო!..“ შემეცდარია, ვისაც ჰგონია, რომ სინათლე რწმენას იძლევა!..

— ააა! თინა სიმონოვნას МОЙ НИЖАЙШІЙ ПОКЛОНЪ!..

თინა ხმას არ იღებს.
— მადემუახელ თინა! ვეღარ მცნობთ, თუ...
— გცნობთ, გცნობთ და უბედრებაც ამაშია!
— მკვახეთ გააწყვეტინა თინამ, რომელსაც ვერცკი

გაერჩია ჯერ ვის ელაპარაკებოდა, ისე გაუთვალისწინებია იყო თავის ღრმა ფიქრებში.

— განა რა დამიშავებია!.. მაგრამ ჰო, ოცნებობთ მთვარის მოვლვარე შუქზე და არ გაგამტყუნებთ, რადგან...

— რადგან?

— რადგან მთვარის გატაცება მხოლოდ მთვარესვე შეძლებია...

— დამუავებულა... თქვენ აღბათ ოპერიდან მობრძანდებით დამტკბარი, ნასიამოვნები!..

— Еще-бы! ისეთი თავ-მოწონებით მიუგო ყმაწვილმა, რომ თინას ზიზღის ქრუანტელმა დაუარა მთელ ტანში.

ყმაწვილ კაცს უნდოდა რაღაც განეგრძო, მაგრამ თინამ აღარ დააძალა.

— ღამე მშვიდობისა!.. სჯობია გზა განაგრძოთ, რომ სიამოვნების შთაბეჭდილება შეიგრძინოთ, სანამ ჯერ კიდევ სიცხოველ არ დაუკარგავს.

სახტათ დარჩენილი „წყალი-ნაყია“, როგორც ეძახოდა თინა, იძულებული გახდა გადგომოდა თავის გზას. ის მიდიოდა დარცხვენილი და ფიქრობდა: ახლანდელი ქალები სწორეთ ჭკუაზე იშლებიან, რაღაც ამბავია მათ თავს, ღვთის წყალობა ღვთის რისხვით მიაჩნიათო.

თინა კი უფრო და უფრო იძირებოდა ფიქრების ღრმა მორევში და თანდათან უძლიერდებოდა სასოწარკვეთილება.

— სად არის ხსნა?.. სად არის გზა ქვეშარიტი, ნათელი, მიხანთან მომყვანი?.. მე საქმე მინდა, საქმე!.. მინდა ადამიანი ვიყო, ადამიანებში ვერიო!.. რა გავაკეთო? ნუ თუ არ კმარა ამდენი თავის-თავის მოტყუება, ამდენი წყალი-ნაყიებში უშინაარსო ტრიალი?.. ოხ, როგორ ბნელა!..

ქვეყანა უკვე ღამემ მოიცვა. ცივი ნიაფი ჰქრის. ჰაერი დამძიმებულია. საცაა წვიმა მოვა. ქალაქის ქუჩებში ობლათ გამოიყურებიან მბეჭუტავი ფანტრები. ფანჯრებში სანთლის მკრთალი, სვედის მომგვრელი შუქი გამოკრთის. თინა კი გამაღლებული მიდის. მიდის თავ-ჩაქინდრული, მტკიცე ნაბიჯით. აი მიაღწია, აი მისი სასურველი ადგილიც. ის შეჩერდა. გაიხედ-გამოიხედა. სიჩუმეა, ისმის მხოლოდ შორიდან ეტლთა გულის-გამწყალებელი რახა-რუხი, ორთქლ-მავალთა კივილი და „გოროდოვების“ უსიამოვნო სტვენა. თინა გადაეყრდნო ხიდის მოაჯირს და ჩაფიქრდა. ვინ იცის რას არ მოავლო გონების თვალი ერთ წამს, მხოლოდ ერთი წუთით და... აიწია, რომ ისკუბოს.

— უკაცრავათ, მაგრამ ნებას ვერ მოგცემთ შეასრულოთ თქვენი განზრახვა!..

თინამ გაიწია, რომ გასხლტმოდა ხელიდან მოუწვეველ მშველელს, მაგრამ ვერ შეიძლო.

— ვინა ხართ?.. ხელს ნუ მიშლით!.. თქვენ რა უფლება გაქვთ?..

— მაქვს. თქვენ გაგზარდათ საზოგადოებამ და თქვენი სიცოცხლეც მას ეკუთვნის.

— გამიშვით!.. მე საზოგადოება მძაგს!
 — გძაგდეთ, მხოლოდ უნდა იცოცხლოთ კი!..
 — მე სიცოცხლე მძაგს!..
 — სწორეთ ამისათვის უნდა იცოცხლოთ: გძა-
 გდეთ და იბრძოდეთ!..
 — „იბრძოდეთო!“ ვისთვის?
 — ქვეშარტებისათვის.
 — მე ბრძოლაც მძულს!.. ის უნაყოფოა...
 — გძულდეთ უნაყოფო ბრძოლა, მაგრამ
 ეძებეთ ნაყოფიერი!
 ის წყველიაღმია... მიუწლომელია...
 — მიუწლომელი არაფერია. გზა ხსნისა ნათე-
 ლია.
 — ნუ თუ ის ჩანს სადმე?
 — ჩანს მათთვის, ვინც ეძია და...
 — და მოთმინება იქონია?.. ირონით გააწყვე-
 ტინა თინამ.
 — დიახ, მოთმინება მიზნისადმი მიღწევის
 სიყვარულით გაცხოველებული.

თინა ჩაფიქრდა. მას წარმოუდგა, რომ ეს
 მისი სიკვდილისაგან მხსნელი მისი გზის მაჩვენებე-
 ლიც შეიძლება იყოს.

— სად არის ის გზა, საშუალება, რომელიც
 თქვენ აღმოგიჩენიათ? შეეკითხა ის მსწრაფლ.

— ცხოვრებას თვით აქვს გზა გარკვეული,
 რომელზედაც ის მიდის ნელი, მაგრამ მტკიცე,
 შეუღრეკელი ნაბიჯით. ვისაც ქვეშარტება უყვარს,
 ის ამ გზასაც ცხადათ ამჩნევს, მიუხედავად მისა,
 რომ იქ ბნელა, ბნელა, რადგან ხშირი ტყე და
 შეუვალი ეკლნარი მანათობელ სხივებს იჭერენ.
 მაგრამ შეუწყვეტელი და მედგარი ბრძოლა ეკლნარს
 ჰკაფავს...

— მერე ვინ არის ამ ეკლნარის გამკაფველი?

— ისინი, ვინც ცხოვრებას სიბნელში ჩაუ-
 მწყვდევია, ვისაც ნათელი ენატრება!

— არ შეიძლება მეც მათ რაზმში მოვექცე?..
 მეც ხომ ნათელს ვესწრაფვი — მუდარების კილოთი
 წარმოთქვა თინამ.

უცნობი ჩაფიქრდა ერთ წამს

— შეუძლია მხოლოდ მათ, ვინც უარ ჰყოფს
 ვარდით მოფენილ გზას და არ ემინია მწვეტიანი
 ეკლების.

— მეც ხომ ეს მინდა... მე საქმეს, საქმეს
 ვეძებ!.. ბრძოლა მწყურია!.. წამიყვანეთ, მიხსენით
 ბარემ ამ არარაობისაგანაც!.. გვედრებით გულ-
 წრფელათ. . გულის სიწმიდით...

— თქვენი სათუთი აღზრდა? თქვენი ტანჯვას
 უჩვევი სხეული? იქ სისხლი სჩქეფს... იქ ცეცხლი
 ბრიალებს...

— მზათა ვარ ყველაფრისათვის!... მე ესენი
 ვერ შემაშინებენ!... გვედრებით...

— წრე? ფუფუნება? სიამოვნება? განცხრომა?

— დიდი ხანია უარ ვყავ... დავტოვე...

— საზოგადოების ხმა? ტრადიციები? .

— არ მინდა!.. ყველაფერი დავმე!..

უცნობი სდუმდა. მან არ იცოდა რა ებასუნდა
 ასე უცებ ამ თავგანწირულ არსებისათვის, რომლის
 მტკიცე გადაწყვეტილებაში იხატებოდა ენერჯია და
 სულის სიძლიერე.

— მართლა?— წამოიძახა მან უეცრივ — ხედავთ
 აი აგერ ჩვენკენ მომავალ შავ გუნდს? აბა დააკვირ-
 დით და გაარჩიეთ, თუ შეგიძლიათ, რა აწერია
 მათ გარუჯულ შუბლზე?

— „ტანჯულნი!“ — წარმოთქვა თინამ.

— და მებრძოლნი სიმართლისათვის! — დაუმა-
 ტა მხსნელმა. — ახლა თქვენთვის გზა ნათელია.

ამ დროს უეცრივ თვალ-წინ სივრცეში გამოე-
 ხატა თინას გაშუქებული შემდეგი წარწერა: „ძალა
 ერთობაშია!“ და მოიხედა თავის მხსნელისაკენ, რომ
 ეთქვა რამ, მაგრამ ის უკვე სიბნელეში გამქრალი-
 ყო.

— მიეხვდი!.. შორს ჩემგან სასოწარკვეთილე-
 ბავ!.. მოვდივარ თქვენთან!.. ენერჯიულათ შესძახა
 მან და გამობრუნდა...

5

„კვალის“ ფოსტა

ბ. აქაურს. თქვენ გვეკითხებით: მართლა შეპირდით ნ.
 წერეთელს — საპასუხო წერილს დაგიბეჭდავთ და მერე აღარ
 დაბეჭდეთ? დიად, შევიპირდით პასუხს და ვბეჭდავთ თქვა და
 ან კი როდის იყო ისეთი მაგალითი, რომ „კვალში“ ვისმეა
 შეეხენ და თავის გასამართლებელი წერილი კი არ დაბეჭდეთ?
 ჩვენ ყოველთვის ვბეჭდავთ საპასუხო წერილებს და მაშასადამე
 ნ. წერეთელის მოგზავნილისთვისაც უნდა გვეთქვა — და ვბე-
 ჭდავთ მაგრამ ეს დაპირება იმას კი არ ხიშნავს, რომ ხელ-
 შეუხებლათ როგორი და რამდენიც უნდა დაწეროს — უთუოთ
 და ვბეჭდავთ. ჩვენ არა ერთხელ გამოგვიცხადებია, რომ საპასუხო
 წერილები უნდა იყოს რაც შეიძლება ჩქარა გამოგზავნილი
 (რომ ინტერესი არ დაეკარგოს) და მოკლეთ მოჭრილი. ბ.
 წერეთელს კი ერთი ვეებერთელა წერილი გამოგზავნა და
 გვთხოვდა შეეუმოკლებლათ ერთათ დაბეჭდვას. წე-
 რილი გამოდიოდა 13 აწყობილი სვეტი, მაშასადამე „კვა-
 ლის“ ერთი ნომერი ბ. წერეთლისათვის უნდა მოგვეწოდებო-
 ბო და ეს სწორეთ არ ვქენით. ამიტომ წერილის მომტანს
 ვუთხარით, მიწერეთ წერეთელს დაწეროს სტატია მეაბრე-
 შუმეთა ამხანაგობის შესახებ და შენიშვნებში შევხოს მის
 მოწინააღმდეგეთაც თქვა. ამით წერილსაც მეტი მნიშვნელობა
 ექნებოდა და „კვალის“ ფურცლებსაც უფრო სიყვანით
 დავუთმობდით. ეს, როგორც ჩანს, არ მოწონებო. ბ. წერე-
 თელს. მას თავისი ამხანაგობის საზოგადოებისათვის გაცნობა
 გაზეთის საშუალებით არ სურვებია, მას მხოლოდ თავისი
 პირადობის შესახებ ნდომებია ლაპარაკი და ამისათვის „კვა-
 ლის“ ნომრის ნახევარს გვთხოვდა! ასე არ გვესმის ჩვენ
 გაზეთის დანიშნულება, მით უფრო ისეთის, რომელიც კვი-
 რაში ერთხელ გამოდის და ამის მსაჯული დევ თვით მკი-
 თხველი იყოს. ჩვენ კიდევ ერთხელ ვაცხადებთ, რომ პირადი
 საპასუხო წერილები უნდა იყოს მოკლე, თვარა ადგილი
 არა გვაქვს. ვისაც მოკლეთ წერა არ ეხერხება (ბ. ნ. წე-
 რეთელსავით) ნება უნდა მოგვეცენ შევამოკლოთ.

რედაქტორ-გამომც. ან. თ.-წყნეილისა.